ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 2 თებერვალი, 2011 №27 (5412) ფასი: 30 თეთრი

## პრეზიდენტს პარლამენტში 10 თებერვალს ელიან

გვ.2



# რატომ გაუშვეს გელა ბექუაშვილი ამერიკაში

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ბექუაშვილი ამერიკაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად თვენახევრით იმყოფება, დროებით დატოვა თანამდებობა და დაბრუნების შემდეგ კვლავ ჩაუდგება სათავეში საგარეო დაზვერვას.

გვ.2





## წელს საქართველოში ცვლილებები აუცილებლად მოხდება

გვ.4

რისთვის ემზადება ოპოზიცია



## რამ დააკომპლექსა საქართველოს მოსახლეობა

გვ.4

შალვა ოგბაიძე: საქართველოს საავტომობილო პარკის ელექტრომობილებით შევსება ჯერ ნაადრევია



## აფხაზეთში კლანებს შორის ბრძოლა დაიწყო

გვ.5

დასავლეთი მუბარაქისა და სააკაშვილის მსგავს დიქტატორებს მხარს არ დაუჭერს

## სააკაშვილს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოუწევს



გვ.3

ბიზნესმენებზე ტერორი ხორციელდება

გვ.6



გვ.6



## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 სასამართლო საზოგადოებრივ აქტივობებშია ჩართული

5 ვაჭრობისთვის განკუთვნილი საქონლის ხელით შემოტანა აიკრძალა

2 ნარკოდამნაშავეებს საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში გარკვეული პრივილეგიები ექნებათ

5 სამარშრუტო ტაქსების ტენდერში გამარჯვებული კომპანიები მგზავრობის საფასურს არ გააძვირებენ

# პრეზიდენტს პარლამენტში 10 თებერვალს ელიან

ნანა მიშელაშვილი

**საქართველოს პრეზიდენტი თებერვალში პარლამენტის წინაშე ანგარიშით წარდგება. პრეზიდენტის ვიზიტისათვის დეპუტატები უკვე ემზადებიან.**

პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მაჯგალაძემ გუშინ ბრიფინგზე განაცხადა, რომ კონსულტაცია უკვე გაიმართა პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის. მანჯგალაძის განცხადებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოხსენებაზე მუშაობა და მისი შინაარსობრივი საკითხების დაზუსტება და დაკონკრეტება.

— პრაქტიკულად, ეს იქნება ერთგვარი ანგარიში ხალხს — რა გაკეთდა გასული წლის განმავლობაში, რა გეგმები, პერსპექტივები და გამოწვევები არსებობს ქვეყნის წინაშე 2011 წელს, როგორია ქვეყნის პირველი პირის ხედვა. ეს იქნება მოხსენება იმ პრობლემატიკაზე, რომელიც ქვეყანასა და მოსახლეობას აწუხებს, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში პარლამენტის ბიუროს სხდომა გაიმართა. პრეზიდენტის პარლამენტში ვიზიტის სავარაუდო თარიღი დავით ბაქრაძემ დაასახელა. მიხეილ სააკაშვილი პარლამენტს, სავარაუდოდ, 10 თებერვალს ეწვევა.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, პრეზიდენტი მზადაა, საგაზაფხულო სესიის პირველივე კვირას წარდგეს პარლამენტის წინაშე. დავით ბაქრაძის თქმით, მასსა და პრეზიდენტს შორის გამართული კონსულტაციების შედეგად ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტი პარლამენტში საგაზაფხულო სესიის პირველივე კვირას წარდგება საკუთარი ხედვებით ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

დავით ბაქრაძის განმარტებით, მიხეილ სააკაშვილი პარლამენტს, სავარაუდოდ, 10 თებერვალს ესტუმრება. თუმცა, მიუნხენის კონფერენციაში მისი მონაწილეობის გამო ეს თარიღი შესაძლოა შეიცვალოს.

პრეზიდენტის მოხსენების განხილვის პროცედურასთან დაკავშირებით პრეზიდენტის სტუმრობამდე პარლამენტში უმცირესობასა და უმრავლესობას შორის კონსულტაციები გაიმართება. ამ კვირაში გაირკვევა, თუ როგორი ფორმატით წარიმართება პრეზიდენტის ვიზიტისას დეპუტატების სიტყვით გამოსვლა.

შარშან პარლამენტში პოლიტიკური დებატები გაიმართა. სიტ-



ყვით გამოსვლის უფლება ფრაქციების თავმჯდომარეების, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერების გარდა, გასულ წელს ცალკეულ დეპუტატებსაც მიეცა.

წელს, პრეზიდენტის პარლამენტში სტუმრობის დროს, სიტყვით გამოსვლის უფლებას ორი დამოუკიდებელი დეპუტატი მოითხოვს. დავით ბაქრაძის სახელზე უკვე გააგზავნა ოფიციალური განცხადება გიორგი ცაგარეიშვილმა და ჯონდი ბაღათურიამ.

როგორ ემზადებიან დეპუტატები მიხეილ სააკაშვილის პარლამენტში მოსვლისთვის?

პარლამენტში სიტყვით გამოსვლის უფლებას პარტია „თავისუფალი დემოკრატების" წევრი გიორგი ცაგარეიშვილი ითხოვს. მან პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს წერილობით რამდენიმე დღის წინ მიმართა.

მართალია დავით ბაქრაძემ გუშინ აღნიშნა, რომ მას წერილობით უკვე მიმართა ორმა დეპუტატმა, რომლებიც სიტყვით გამოსვლას ითხოვენ, თუმცა, არ დაუკონკრეტებია, მიეცემა თუ არა მათ განცხადების გაკეთების უფლება. გამოვლენ თუ არა სიტყვით ცაგარეიშვილი და ბაღათურია, ეს ამ კვირაში ბიუროზე გადაწყდება.

გიორგი ცაგარეიშვილი იმედს იტოვებს, რომ მას წელსაც მიეცემა საშუალება საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ დადგენილი რეგლამენტით გამოთქვას მოსაზრებები ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე.

ცაგარეიშვილი რამდენიმე საკითხზე აპირებს საუბარს. დაწყებული მოდელირებული „ქრონიკიდან", დამთავრებული ვეტერანების დარბევით, დევნილების გამოსახლებით და ეკონომიკური სიდუხჭირით.

რაზე აპირებს საუბარს საპარლამენტო უმცირესობა?

გიორგი თარგამაძე აცხადებს, რომ პარლამენტში გამოსვლისას რამდენიმე თემაზე გააკეთებს აქცენტს.

— ჩვენი სურვილია, რომ მაქსიმალურად ადეკვატური გავხადოთ საქართველოს ხელისუფლება და პირველ რიგში, ყველაზე ძალმოსილი პიროვნება ამ ხელისუფლებაში, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმ პრობლემების მიმართ, რომელიც არის ქართულ ოჯახებში, ქართულ რეგიონებსა და ქალაქებში. ეს არის ეკონომიკა, სიდუხჭირე, უმუშევრობა, ინფლაციის უსაზღვროდ მაღალი მაჩვენებელი, რომელიც გამოუვალ მდგომარეობაში აგდებს ჩვენი მოსახლეობის უმეტესობას, — აღნიშნა უმცირესობის ლიდერმა.

გიორგი თარგამაძის თქმით, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიც არის პოლიტიკური სისტემის რეფორმა, მედია გამჭვირვალობის საკითხი და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება.

უმრავლესობის წევრების განმარტებით, პრეზიდენტი ყველა იმ მნიშვნელოვან თემებზე ისაუბრებს, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას. პრეზიდენტი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე გააკეთებს განცხადებას.

რაზე ისაუბრებს ჯონდი ბაღათურია 5 წუთიანი სიტყვით გამოსვლისას პარლამენტში?

ჯონდი ბაღათურიას განმარტებით, ჩვენს ქვეყანაში ყველა პრობლემის სათავე ეს არის დემოკრატიის არქონა და უკან გადადგმული ის ნაბიჯები, რაც დღეს გვაქვს.

— ვაპირებ ვისაუბრო დემოკრატიულ რეფორმებზე, სასამართლო რეფორმაზე, სოციალურ საკითხებზე, მინიმალური პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდაზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასა და ხარისხიან მომსახურებაზე. ასევე ვისაუბრებ პოლიტიკურ საკითხზე. „ქართული დასის" პრიორიტეტი სახელმწიფოს პრიორიტეტად უნდა გადავაქციოთ, ეს არის: დასაქმება, დასაქმება და კიდევ დასაქმება. ჩვენ ვთავაზობთ ხელისუფლებას კონკრეტულ პროექტს, რითაც რამდენიმე ათეულ ათას სამუშაო ადგილს შევქმნით, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატებს საგაზაფხულო სესიაზე აქტიური მუშაობისკენ მოუწოდა. დავით ბაქრაძემ იმედი გამოთქვა, რომ სესია კანონპროექტებით დატვირთული იქნება.

სანამ დავით ბაქრაძე ამ მოწოდებას გააკეთებდა, ჯონდი ბაღათურიამ ბრიფინგი გამართა და იმ თემებზე ისაუბრა, რასაც საგაზაფხულო სესიის განმავლობაში პროექტების სახით წარადგენს. ეს ჩამონათვალი საკმაოდ დიდია. „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია საპატრულო პოლიციის ადგილობრივ თვითმმართველობების დაქვემდებარებაში გადასვლას ითხოვს. — აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაცია, კერძოდ კი, სამინისტროს უშიშროების სამსახური და საპატრულო პოლიცია უნდა გამოეყოს. ეს უკანასკნელი კი თვითმმართველობების დაფინანსებაზე უნდა გადავიდეს და, შესაბამისად, მათ დაქვემდებარებაში იყოს, — განმარტა ბაღათურიამ.

ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, „ქართულმა დასმა" აღნიშნულთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივა უკვე მოამზადა და პარლამენტს უახლოეს მომავალში წარუდგენს.

„ქართული დასი" სასამართლო რეფორმასა და პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხების გადახედვას მოითხოვს და ხელისუფლებას პარტიის მიერ მომზადებულ გეგმაზე მუშაობის დაწყებას სთავაზობს.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც „ქართული დასი" მუშაობს და სულ მალე პრეზენტაციას გამართავს, შეეხება სოფლის მეურნეობის სტრატეგიული დაფინანსების გეგმებს.

ჯონდი ბაღათურიას თქმით, პარტიამ ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა სოფლის განვითარების გეგმა, რომელშიც დათვლილია როგორც აუთვისებელი სასოფლო-სამეურნეო მიწების ოდენობა, ასევე რომელ რეგიონში რა კულტურის მოყვანა იქნება მომგებიანი. — ჩვენ უკვე მოვახდინეთ სრული ინვენტარიზაცია სასოფლო-სამეურნეო მიწების. სოფლის მეურნეობის გეგმის განხორციელება კი საშუალებას მოგვცემს ადგილზე შევქნათ ათასობით სამუშაო ადგილი. რაც შეეხება დაფინანსებას, ამ კუთხით ჩვენ ცნობილ ფინანსისტებთან ერთად გეგმა შევიმუშავეთ, რომელიც მოსახლეობას საშუალებას მისცემს მეურნეობა ისე ააწყოს, რომ სახელმწიფომ ამაში კაპიკიც არ დახარჯოს, — ასეთია ჯონდი ბაღათურიას ხედვა.

დეპუტატის თქმით, პრეზენტაციაზე სრულად იქნება წარმოდგენილი, რომელ რაიონში რამდენი ადამიანის დასაქმება იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება „ქართული დასის" სოციალურ თემატიკას, ბაღათურია მინიმალური პენსიის საარსებო მინიმუმამდე გათანაბრებას მოითხოვს. ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, აუცილებელია ხელისუფლებამ პენსიების გაზრდაზე იზრუნოს და ის საარსებო მინიმუმს დაუახლოვდეს.

ჯონდი ბაღათურია სოციალურად დაუცველთა ბაზის კორექტირებასაც მოითხოვს. — სოციალურად დაუცველთა ბაზის კრიტერიუმები წინასთან შედარებით უკეთესია, თუმცა, საჭიროა მისი კვლავ გადახედვა და ის პირები, ვინც სიღარიბის ზღვარს ქვევით არიან, უნდა იღებდნენ როგორც შემწეობას, ასევე სადაზღვევო პოლისს. იმ ოჯახების შემოსავალი, რომელიც საარსებო მინიმუმს არ აღემატება, მათ სადაზღვევო პოლისები უნდა გადაეცეთ, — აღნიშნა დეპუტატმა.

„ქართულ დასს" აღნიშნულთან დაკავშირებით წინადადებები უკვე მომზადებული აქვს და მზად არის ხელისუფლებასთან ერთად განიხილოს.

ასე რომ, დეპუტატები დღეიდან აქტიურ მუშაობას შეუდგნენ. საგაზაფხულო სესიის განმავლობაში ისინი საკმაოდ ბევრ კანონპროექტს განიხილავენ. საკითხები მომზადებული აქვს მთავრობასაც.

გუშინ დავალება უკვე მიიღო პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა. მან სასჯელაღსრულების მინისტრს ხათუნა კალმახელიძეს უნდა მოუსმინოს.

საკითხი შეეხება პატიმართა გრძელვადიანი პაემნების ამოქმედებას. პატიმართათვის გრძელვადიანი პაემანი 2014 წელს უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა ის 2011 წლიდან ამოქმედდება.

მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გუშინ დეპუტატებს შესაბამისი კანონპროექტი გააცნო და დასძინა, რომ სასჯელაღსრულების სამი დაწესებულება მზად არის, შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოწყობილია პატიმართა გრძელვადიანი პაემნებისთვის.

მთავრობამ ამ საკითხის დაჩქარებული წესით განხილვა მოითხოვა, რასაც პარლამენტის თავმჯდომარე დაეთანხმა. უფრო მეტიც, დავით ბაქრაძემ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს დაავალა, რომ კომიტეტში სასჯელაღსრულების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე მიიწვიონ და მასთან ერთად განიხილონ კანონპროექტი.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდიამ ბაქრაძეს აცნობა, რომ მინისტრი ხათუნა კალმახელიძე მზად არის, ამ კვირაში კომიტეტში მივიდეს და კანონპროექტი თავად წარადგინოს.

მას შემდეგ, რაც საკომიტეტო მოსმენა ჩატარდება, კანონპროექტს პარლამენტის სხდომაზე დაჩქარებული წესით განიხილავენ და მიიღებენ. სწორედ ამის შემდეგ ექნებათ პატიმრებს გრძელვადიანი პაემნებით სარგებლობის უფლება.

მთავრობის კიდევ ერთი ახალი ინიციატივა უკავშირდება ადმინისტრაციულ პატიმრობას. კერძოდ, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის სახდელის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახდელთან ერთად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ადვოკატის დანიშვნა სახელმწიფოს ხარჯზე თუ იგი გადახდისუუნაროა.

მთავრობას კიდევ რამდენიმე კანონპროექტი აქვს მომზადებული, რომლის განხილვაც საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება. კერძოდ, ერთ-ერთი საკითხი შეეხება „ზოგადი განათლების შესახებ" კანონში ცვლილებებს. ახალი პროექტი არეგულირებს სკოლების ბრენდირებასთან, ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესსა და პირობებს.

ამდენად, საგაზაფხულო სესია გაიხსნა, თვენახევრის განმავლობაში დასვენებული დეპუტატები მუშაობას შეუდგნენ.

## სასამართლო საზოგადოებრივ აქტივობებშია ჩართული



1 თებერვალს, 12 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულებას ხელი თბილისის საქალაქო სასამართლოს თავჯდომარემ მამია ფხაკაძემ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა მოაწერეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ბაზაზე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანადგომით, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები, თვეში ერთხელ ლექცია-სიმინარებს ჩაატარებენ. პროექტის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან სასამართლო სისტემას, ასევე მოხდება მათი სრული ინფორმირება მოქმედ კანონმდებლობასა და მათთვის საინტერესო სამათლებრივ საკითხებზე. მომავალ იურისტებს საშუალება მიეცემათ კვირაში ერთხელ, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესებს დაესწრონ.

პროექტის დასრულების შემდეგ, ჩატარდება სტუდენტური ოლიამპიადა და გაიმართება იმიტირებული სასამართლო პროცესები.

ზემოაღნიშნული პრიექტის ხანგრძლივობა 12 თვეს შეადგენს, მასში დაახლოებით 50 ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას და მოიცავს, როგორც ადმინისტრაციულ ასევე სამოქალაქო და სისხლის სამართლის სფეროებს. პროექტის უმთავრეს მიზანს სტუდენტთა სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებაზე ზრუნვა და საბოლოოდ კანონმორჩილი საზოგადოების ჩამოყალიბება წარმოადგენს.

ხელმოწერის ცერემონია თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოუწევს

## ბიზნესმენებზე ტერორი ხორციელდება

შორენა კოწოწაშვილი

**რა არის ოპოზიციის ნაკლი და რომელი ალა ემზადება ხელისუფლების ჩასანაცვლებლად? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს გუგული მაღრა ესთან.**

***— ქალბატონო გუგული, როგორ ფიქრობთ, შეძლებს ხელისუფლება შექმნილი მძიმე ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე სერიოზული პრობლემების თავიდან აცილებას?***

— ფონი საკმაოდ მძიმეა. ადამიანებს ხელფასები აკლდებათ. შემცირებები მიდის ბევრგან. არაერთი ობიექტი იხურება. მაღაზიების და ოფისების ფასადზე, უამრავ ადგილას გვხვდება წარწერა იყიდება, ქირავდება. არავინ არც ყიდულობს, არც ქირაობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე და საშუალო ბიზნეს-აქტივობა აღარ არის. დიდ ბიზნესსაც ძალიან უჭირს. იმიტომ, რომ ვხედავთ, ბევრს იჭერენ და ფულს სთხოვენ. ძალიან ბევრმა დახურა თავისი ბიზნესი. ამასთან ერთად შემცირებაა სახელმწიფო დაწესებულებებში, თუმცა ამცირებენ რიგით თანამშრომლებს, რომლებიც უფრო საჭიროა. ზედა ეშელონები არ მცირდება, პირიქით. პირველი პირები მაინც არ ანებებენ თავს იმას, რომ რაც ხელფასი აქვთ, ორჯერ იმდენ პრემიას ინიშნავენ ყოველ თვეში. ამის უამრავი ფაქტია ცნობილი. ეს ახლად დანიშნულმა მინისტრებმაც გააკეთეს. ამ ფონზე, როდესაც ხელისუფლებას არანაირი სურვილი არ აქვს, მართლა რეალურად შეამციროს ხარჯები, იგივე ვთქვათ, თავისი სიამოვნების ხარჯზე და რაიმე შიდა შემოსავალი ქვეყანას აღარ აქვს. გარედანაც დახმარებები აღარ მოდის. ჯერ ერთი, ყველა ქვეყანას თავის პრობლემა აქვს, ან უკვე ამოიწურა, ჩვენ უკვე იმდენი ვალი გვაქვს, გასაკვირია, რომ კიდევ ვინმე სესხს იძლევა. ამ ფონზე, ცხადია, როდესაც ქვეყანა მთლიანად დამოკიდებულია გარედან შემოსულ იმპორტზე და ქვეყნის შიგნით შიდა რესურსი არ აქვს, არც სასურსათო რესურსი არანაირი ისეთი, რომ თვითონ შეძლოს რაღაცნაირად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება. იგივე მე და რამდენიმე ადამიანი პარლამენტში წლების მანძილზე ვამბობდით, რომ სოფლის მეურნეობას სჭირდება მიხედვა. სოფლის მეურნეობა ფეხზე რომ დადგეს და ნაწილობრივ მაინც თვითონ დააკმაყოფილოს საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნები, ეს ყველაფერი როცა არ არის, ცხადია, იქმნება მძიმე ფონი. ყოველდღე ფასები იზრდება საკვებ პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, საწვავზე, რაც თავის მხრივ, ყველაფერს აძვირებს. ამ ფონზე ცხადია, რომ ძალიან მძიმე სიტუაციაა. მეორე მხარეს არის ხელისუფლების უუნარობა, რაიმე გააკეთოს ამის საწინააღმდეგოდ. მთელი რიგი ქვეყნები სპეციალურ ანტიკრიზისულ და ანტიინფლაციურ პროგრამებს იმუშავებენ. პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ ისეთი განცდა დამეუფლა, რომ არაფერს უკეთესს არ უნდა ველოდეთ. ერთი მიმართულებითაც არ თქმულა, რომ ამ კუთხით ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ ვითარების გამოსასწორებლად. ამიტომ ფონი, ცხადია, დაძაბულია.

***— თუმცა ამ ფონზე პრეზიდენტმა მასწავლებლების ნაწილს 1000 ლარიანი ხელფასები აღუთქვა.***

— კი მაგრამ, ეს 1000 ლარიანი ხელფასი საყოველთაო ხომ არ არის. ვინც გაივლის და მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდებს ჩააბარებს, და რომელ მასწავლებლებსაც ექნებათ ძალიან მაღალი ქულები, მათი 25% მიიღებს 1000 ლარს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შარშან ათი ათასზე მეტი მასწავლებლიდან, ვინც გამოცდებზე გავიდა, ასზე მეტმა მასწავლებელმა მიიღო სათანადო ქულები, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სულ 10-15 მასწავლებელი მიიღებს 1000 ლარიან ხელფასს. ეს არის მორიგი სატყუარა. ნამდვილად არა მგონია, რომ დღევანდელ სიტუაციაში გინდა იმ საგამოცდო პროგრამების მიხედვით, გინდა იმის მიხედვით, მასწავლებლები როგორ არიან მომზადებული, ბევრმა მასწალებელმა შეძლოს უმაღლესი ქულების მიღება. წარმოიდგინეთ, რამდენი მასწავლებელი გავა გამოცდაზე, იმ გამოცდაზე რამდენი მასწავლებელი მიიღებს უმაღლეს ქულას და მათი 25% წახალისდება. ასეთი რაღაცეები არის უფრო



პიარზე გათვლილი. იმიტომ, რომ ეს არ არის საყოველთაო მატება. ყველა მასწავლებელს რომ მოემატოს ხელფასი იმის გამო, რომ გამოცდა გაიარა და ნებისმიერი ქულა მიიღო, ეს კიდევ ჰო, მაგრამ 1000 ლარიანი პედაგოგი საქართველოში ალბათ იქნება სულ რამდენიმე. ეს სურათს ვერ შეცვლის.

***— რატომ მაინცდამაინც პენსიონერებსა და მასწავლებლებზე გააკეთა სააკაშვილმა აქცენტი, სხვებს შემოსავლების ზრდა არ სჭირდებათ?***

— იმიტომ, რომ პენსიონერები არიან მრავალრიცხოვანი მასა. ესენი არიან საარჩევნო კონტინგენტში ყველაზე უფრო საჭირო პრეზიდენტისთვის სახელისუფლო ხმებისთვის. იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ბევრი არიან. მეორეც, გარკვეული გავლენაც აქვთ მოსწავლეების მშობლებზე, უბანში, რაიონში. პენსიონერებისთვის 5-10 ლარის მომატებით ადვილია მათი გულის მოგება. მაშინ როდესაც, ადამიანები, რომლებიც უფრო სერიოზულ ბიზნესში არიან ან მუშაობენ, ისინი უფრო სხვანაირად ფიქრობენ და უფრო მეტ რამეზე აქვთ პრეტენზია. მათ სამომავლო პერსპექტივები უნდათ: დასაქმების, კარიერის ზრდის პერსპექტივები. იგივე თავისუფალი სიტყვის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, უფრო მეტად არის მოთხოვნა ამისა სხვა კონტინგენტში. ამიტომ სააკაშვილს, სადაც შეუძლია მცირე დანახარჯებით მეტი ეფექტი მიიღოს, იქ ურჩევნია დახარჯვა.

***— ეს იმაზე მიანიშნებს, რომ პრეზიდენტი უკვე ფიქრობს შემდგომ არჩევნებზე?***

— ცხადია. წელიწადნახევარში, შეიძლება უფრო ადრეც იყოს არჩევნები. თუკი სიტუაცია ძალიან დაიძაბა, შეიძლება პრეზიდენტმა მანამდეც დანიშნოს საპარლამენტო არჩევნები, სანამ ჯერ კიდევ რაღაც რესურსი აქვს. ანდა იმით, რომ პენსიონერს რაღაც მისცეს, მასწავლებელს თავზე ხელი გადაუსვას და კიდევ რაღაც სახეობრივი დახმარებები გასცეს. ამიტომ შეიძლება უფრო ადრეც დაინიშნოს. მათთვის ამ ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, საპარლამენტო უმრავლესობა რომ იყოს ნაციონალური მოძრაობის. იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში მას, ცხადია, გამოჩნდა, რომ აქვს სურვილი, იყოს პრემიერ-მინისტრი. უმრავლესობა ირჩევს პრემიერ-მინისტრს და შემდეგ უკვე პარლამენტს აღარავითარი ძალა აღარ აქვს. სააკაშვილისთვის მთავარია, რომ პრემიერ-მინისტრი გახდეს. სააკაშვილი ახალგაზრდა კაცია და ძალაუფლებას მიეჩვია. სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ის უკვე თავიდანვე იჭერს თადარიგს და გარკვეულ ნაბიჯებს დგამს იმისთვის, რომ ამ პიარით და დაბოლებით, მაპატიეთ ჟარგონისთვის, ცდილობს, რომ იმდენი ხმები იყოს ხელისუფლების ყულაბაში, რაც გარანტირებულად გახდის მას პრემიერ-მინისტრად. სრულიად აშკარაა, რომ ეს წინასაარჩევნო ნაბიჯებია.

***— რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ფიქრობს, რომ ოპოზიციამ სააკაშვილთან ბრძოლა პირწმინდად წააგო. ოპოზიცია სერიოზულად დასუსტდა?***

— ის რომ ვთქვათ, ასეთ არადემოკრატიულ ქვეყანაში ოპოზიციას ძალიან ცოტა შანსი აქვს, ჩვეულებრივი, თანმიმდევრული საქმიანობით წარმატების მიღწევის, ეს ფაქტია. იმიტომ, რომ არსებობს პოლიტოლოგიაში გამოკვლევები, როგორ უნდა მოახერხოს დიქტატორმა თავისი ძალაუფლების დიდხანს შენარჩუნება. იქ ერთ-ერთი აუცილებელი მომენტია ის, რომ თუ დიდხანს გინდა შეინარჩუნო ძალაუფლება, ოპოზიცია უნდა გყავდეს, მაგრამ თუ საჭიროა, ოპოზიცია უნდა მოქრთამო, დააშინო, თუ საჭიროა, ყველა რესურსი გადაუკეტო. არ მისცე ელექტრონული მედიის არსებობის საშუალება. გამოყენების საშუალება. არასდროს არ უნდა მისცე ოპოზიციას ისეთი პირობები, რომ მას შეეძლოს არჩევნების მოგება. ამიტომ ამას ხელისუფლება ფაქტობრივად აკეთებს. დღევანდელ სიტუაციაში გაცილებით უფრო მძიმეა ამის განხორციელება. ამბობენ, რომ 2007 წელს გაცილებით უფრო ძლიერი იყო ოპოზიცია. გავიხსენოთ 2007 წელი. წინაპირობებიც გავიხსენოთ. მაშინ გაცილებით მეტი იყო შედარებით დამოუკიდებელი ბიზნესი საქართველოში, რომელსაც საშუალება ჰქონდა თავისი სიმპათიების მიხედვით დაეფინანსებინა ესა თუ ის ოპოზიციური პარტია. მაშინ ნამდვილად იყო ამის საშუალება. მაშინ ბიზნესი უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე დღეს. მეორე — 2007 წელს ყველა არხი შედარებით ღია იყო დებატებისთვის და ოპოზიციისთვის. მართალია, ყველა ოპოზიციონერს არ იწვევდნენ და იწვევდნენ შერჩევით, მაგრამ პოლიტიკური თოქ-შოუები იყო. მართალია, წამყვანები ოპოზიციას ცოტა დროს უთმობდნენ, მაგრამ ხალხი მაინც ხედავდა, რომ ოპოზიციაში არსებობდა აზრიანი ხალხი, რომლებიც ხელისუფლებას კითხვებით უხერხულ მდგომარეობაში აგდებდნენ. გავიხსენოთ, ბოლოს ამის შესაძლებლობები 2008 წელს იყო არჩევნების წინ. მაისის არჩევნების წინაც, როცა ამერიკელებმა — საერთაშორისო განვითარების სააგენტომაც, ძალიან მოინდომეს, რომ დაეფინანსებინათ პროექტი მერობის კანდიდატების დებატებისა, ხელისუფლების წარმომადგენელი დებატებზე თანახმა მაინც არ იყო. ეს იყო ცალ-ცალკე დიალოგი მერობის თითოეულ კანდიდატთან. ხელისუფლებას უნდა, რომ საზოგადოებაში ნაკლებად ფიქრობდნენ, რომ ოპოზიციაში არიან აზრიანი, ინტელიგენტური, ინტელექტის მქონე ადამიანები; რომ ოპოზიციაშიც არის სერიოზული ძალები. გარდა ამისა, მიდის ახლა სერიოზული ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ. თავისი ხალხი ჰყავთ, ამას ცხადია, ვერ გამორიცხავთ. სხვადასხვა მექანიზმებით მუშაობენ, რომ ერთმანეთს შორის იყო გარჩევა; თუ სადმე რამე შეიძლება, რომ სადმე რამე გამოქაჩო და რაღაც ასეთი თქვა. გარდა ამისა, არის მცდელობა, რომ ის ადამიანები, რომლებიც აქტიურები იყვნენ მიტინგებზე, მათ გარკვეული პრობლემები ექმნებათ. ასე რომ, ადამიანები დაშინებული ჰყავთ. ნანა ფიფიამ თავი რომ დაიწვა, როგორც დევნილებმა მითხრეს, გასვენებაშიც არ მიდიოდნენ დევნილები იმის გამო, რომ ამბობდნენ, სურათებს იღებენ და ვინც გასვენებაში მივა, მერე იმას დახმარებას არ მისცემენ და ა.შ. ეს ყველაფერი აკეთებს იმას, რომ ოპოზიციის მხარდამჭერობა საკმაოდ რთული გამოდის. ასეთ სიტუაციაში ოპოზიცია სუსტი იქნება, აბა, რა. ეს ხელისუფლება ოპოზიციაში არასდროს არ იყო. ნაციონალური მოძრაობა იყო ფრაქცია პარლამენტში. მიკროფონიც ჰქონდათ, პრესასთან ურთიერთობაც შეეძლოთ. ასე რომ, როცა ამბობენ, მე რომ ოპოზიციაში ვიყო, უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ნამდვილ ოპოზიციაში არასოდეს ყოფილან. ისინი იყვნენ ხელისუფლების ნაწილი. როცა ხელისუფლების ნაწილი ხარ, გაცილებით უფრო ადვილია ლაპარაკი, რომ მე ძლიერი ვარ, ის სუსტი. პარლამენტში 4 წელი ვიყავი და ვხედავდი, რომ პარლამენტის რიგით წევრსაც გაცილებით უფრო მეტი რესურსი აქვს, რომ თავისი აზრი გააცნოს საზოგადოებას და თავის აზრი გაიტანოს, ვიდრე ოპოზოციის ძალიან პრესტიჟულ ლიდერსაც კი. ასე რომ, არათანაბარი ვითარებაა. თუმცა ცხადია, ეს არ ამართლებს ოპოზიციას. ოპოზიციას რომ უფრო გონივრულად ემოქმედა და ლიდერებს არ ეფიქრათ მარტო იმაზე, რომ მე და ჩემი პარტია გამოჩნდეს, ცხადია, შესაძლებელი იყო, მეტი კოორდინაცია ყოფილიყო.კოორდინაცია უფრო მოსახერხებელია იმისათვის, რომ ოპოზიცია უფრო ექტიური იყოს. ხელისუფლება სულ ახალ-ახალ რაღაცეებს აკეთებს იმისთვის, რომ ოპოზიცია სულ რეაგირების რეჟიმში იყოს. მივესალმები იმას, რომ თავისუფალი დემოკრატები ახერხებენ საინტერესო პროექტების გაკეთებას. ალასანიას გუნდი აჩვენებს, რომ არის ისეთი ძალა, რომელსაც არა მხოლოდ შეცვლა სურს და შეუძლია, არამედ უკვე შეუძლია გარკვეული პროგრამების მართვა. თანაც ისეთის, რომელიც ჩვენს ქვეყანას მოუხდება.

დაიწყეთ ახალი დღე
„ახალ ქართულ პროზასთან“ ერთად!
ყოველი ორშაბათიდან
„გუმბათთან“ ერთად შეიძინეთ
„ახალი ქართული პროზის“
ახალი ტომი
ჟურნალი წიგნთან ერთად ღირს 3 ლარი

## მოსახლეობის მგლებისგან დასაცავად ახმეტაში მონადირეთა ჯგუფი შეიქმნა

მონადირეთა 30- კაციანი ჯგუფი, რომელიც მოსახლეობას მგლებისგან დაიცავს. მონადირეთა ჯგუფში შედიან მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლები, პოლიციელები და მუნიციპალიტეტში ცნობილი, გამოცდილი მონადირეები, — აცნობეს „მედიანიუსს“ რადიო „ჰერეთიდან“.

ჯგუფებს ყოველდღიური მორიგეობა აქვთ დაწესებული. მთავარი ყურადღება გადატანილია იმ სოფლებზე, სადაც ნადირის შემოსევის ფაქტებია დაფიქსირებული.

მგლების შემოსევა ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოში 28 იანვარს დაფიქსირდა. მოსახლეობის განცხადებით, შინაურ ცხოველს მტაცებლისგან ველარ იცავენ. მათი განმარტებით, გარეული ცხოველი იმდენად აგრესიულია, რომ საცხოვრებელი სახლების ეზოებშიც შედის.

**მედიანიუსი**

## დღეს ცოტნე გამსახურდიას სასამართლო პროცესი გაიმართება

დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ცოტნე გამსახურდიას პროცესი განახლდება.

როგორც „მედიანიუსს“ გამსახურდიას ერთ-ერთმა ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განუცხადა, ხვალისთვის დაგეგმილ სასამართლო პროცესზე საპატიმროს თანამშრომლებს დაკითხავენ. ადვოკატმა კმაყოფილება გამოთქვა წინა მოწმის, საპატიმროს თანამშრომელ ხვიჩა ბასოშვილის მიერ მიცემული ჩვენების გამო და დასძინა, რომ აღნიშნული ჩვენება ამტკიცებს მათ ვერსიას, რომლის თანახმადაც, ცოტნე გამსახურდიას ციხის ადმინისტრაციამ პროვოკაცია მოუწყო.

ცნობისთვის: სასამართლო განიხილავს ცოტნე გამსახურდიასთბის წაყენებულ ახალ, ქრთამის მიცემის ბრალდებას, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 339 მუხლის II ნაწილი.

დაცვის მხარის ინფორმაციით, ცოტნე გამსახურდიამ, რომელიც მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწსებულებაში იმყოფება, თითქოს ამავე დაწესებულების თანამშრომელს კორესპონდენციის გატანის სანაცვლოდ 500 ლარის ოდენობის ქრთამი შესთავაზა.

**მედიანიუსი**

## ნარკოდამნაშავეებს საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში გარკვეული პრივილეგიები ექნებათ

ნარკოდამნაშავეებს საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში გარკვეული პრივილეგიები ექნებათ. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში შედის.

კანონპროექტის თანახმად, მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირება ან განსაკუთრებულ შემთხვევაში, უფლებების ჩამორთმევისგან სრულად გათავისუფლება.

კანონმდებლობით, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს 3 წლით ჩამოერთმევა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საექიმო საქმიანობის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება. ხოლო ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, აღნიშნული უფლებები 5 წლით ჩამოერთმევა.

სხვადასხვა შემთხვევაში, ეს უფლებები პირს შეიძლება ჩამოერთვას 10 ან 15 წლითაც. ასევე, ნარკოტიკების გამსაღებელს, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების გარდა ყველა სხვა უფლება 15 წლით ეზღუდება.

კანონპროექტით კი, საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება აღნიშნული ვადები შემცირდეს ან პირს ეს უფლებები, საერთოდ არ შეუზღუდონ.

კანონპროექტის ავტორები დეპუტატები კახა ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა არიან.

**ინტერპრესნიუსი**

# წელს საქართველოში ცვლილებები აუცილებლად მოხდება

## რისთვის ემზადება ოპოზიცია

ნონა ცაბა ე

**რა მდგომარეობაა ქვეყანაში, რამ გამოიწვია ინფლაცია და რატომ იქცევა ასე უცნაურად სააკაშვილი, ამის თაობაზე კონსერვატიული პარტიის ლიდერი ზვიად ი იგური „ახალ თაობას“ ესაუბრება.**



ზვიად ძიძიგური:

— მოდით, ერთი რამ გავიხსენოთ — საქართველოში უახლოესი პერიოდის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი უარს აცხადებდა პენსიების მომატებაზე, ანაზრების დაბრუნებაზე, სხვა სოციალური პრობლემების მოგვარებაზე, იმის გამო, რომ ინფლაცია არ გამოეწვია ამ მოვლენებს, თვითონ კი დაუშვა ეს ინფლაცია ქვეყანაში, ვინაიდან მის ფუფუნებას სჭირდება დამატებითი ხარჯები და ამიტომ მან ინფლაციის საშუალება ამ დამატებითი ხარჯებისათვის მისცა თავის ეკონომიკურ გუნდს. ყველანი ვხედავთ, რომ ეს საშინელი სიტყვა დღეს აწვება პირდაპირ კისერზე მოსახლეობას და ამაში მსოფლიო პრობლემების დადანაშაულება არის სრულიად შეუსაბამო. მინდა ვთქვა, რომ არავითარი პროდუქციის ნაკლებობა იმის გამო, რომ თურმე ჩინელებმა მადიანი ჭამა დაიწყეს, არ არსებობს, იმის გამო, რომ თურმე ჩინელებმა ბენზინის ჩასხმა დაიწყეს, ბენზინის ნაკლებობა არ არსებობს. ელემენტარულად, არსებობს ჩვენს ქვეყანაში ინფლაცია, რომელიც უკვე დიდი ციფრებით გამოისახება და მოსახლეობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. ჩვენ ყველამ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ უკვე საქმე მიდის კრიტიკული ფაზისაკენ. ამ კრიტიკულ ფაზაში თუ როგორი იქნება პოლიტიკური აქტიურობა საზოგადოების, მოსახლეობის, როგორი იქნება პოლიტიკური აქტივობა პოლიტიკური პარტიებისა და ოპოზიციის, ამაზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება ქვეყანაში მოვლენები.

***— სააკაშვილმა ძალიან ცინიკურად და აგდებულად ისაუბრა ოპოზიციაზე, დასცინა კიდეც. მისი თქმით, ოპოზიცია ქვეყანას ძირს უთხრიდა...***

— მე მახსოვს 2006 წელი, როდესაც დასცინოდა ის ოპოზიციას და გაფარჩაკებულს უწოდებდა. ასევე კარგად მახსოვს მისი შეშინებული ქმედებები 2007-ში, 2008-ში და 2009-ში. რაც შეეხება იმას, რომ ძირს უთხრიდა ოპოზიციის მაშინდელი ქმედებები ამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას, მინდა გითხრათ, რომ 2008 წლის აგვისტო არის პასუხი ამა ყველაფერზე, ვინ არის ამ ქვეყნის მტერი, ვინ არის ამ ქვეყნის ძირის გამომთხრელი, ვინ არის უპასუხისმგებლო, ვინ არის ადამიანი, რომელიც ჟონგლიორობს თავისი საკუთარი ქვეყნის ბედით, ადამიანი, რომელიც, პრაქტიკულად, გვევლინება შევარდნაძის მიერ დაწყებული ტერიტორიული მსხვრევის დამაგვირგვინებლად და ეს ადამიანი გახლავთ მიხეილ სააკაშვილი. რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება უნდა იყოს აუცილებლად კოალიციური ძალებისაგან შემდგარი, საქართველოს პარლამენტი აუცილებლად უნდა იყოს დაკომპლექტებული ბევრი პოლიტიკური ძალისაგან. ამის აუცილებლობა სახეზეა. სააკაშვილი აცხადებს, ერთი გუნდი მჭირდება იმისათვის, რომ სწრაფად მივიღო გადაწყვეტილებები და ქვეყანა ავაშენოო. ამ სწრაფად მიღებული გადაწყვეტილებებით იწყებს სააკაშვილი, სწრაფად მიღებული გადაწყვეტილებებით ხარჯავს მილიონებს და მილიარდებს, რომელიც, სხვათა შორის, კრედიტის სახით აქვს დასავლური სახელმწიფოებისაგან აღებული თავის ჭკუაზე დასახარჯად, რაღაცა შეყვარებული ქანდაკებების დასადგმელად, რომლებიც ერთმანეთს ტუჩებში კოცნიან, რაღაც მემორიალები, რომლებსაც გემოვნების ნატამალი არ გააჩნია, იტალიელი, ესპანელი თუ ფრანგი არქიტექტორები, რომლებიც მილიონერები გახდნენ ქართველი ხალხის ხარჯზე. ეს არის მიხეილ სააკაშვილისათვის პიროვნული მართვის შედეგად მიცემული ფუფუნება. ამიტომ ეს ფუფუნება არც ერთ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს. საქართველოს პარლამენტში უნდა იყოს ძალიან დიდი დებატები იმაზე, თუ როგორ უნდა დაიხარჯოს თითოეული კაპიკი, რომელიც ჩვენი ღარიბი ქვეყნისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ დაიხარჯოს ხალხისთვის, დაიხარჯოს ხალხის პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც სამუშაო ადგილების შექმნას მოხმარდება, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდება და, უნდა გითხრათ, რომ საერთოდ ეს ინფლაციური პროცესები კიდევ უფრო მეტად გაღრმავდება, რაც უფრო მეტს ილაპარაკებენ და ილაყბებენ საქართველოს ხელისუფლებაში ტურიზმის განვითარების აუცილებლობაზე. ტურიზმის განვითარებაც და ყველაფერი ეს თუკი არა აქვს ამას მყარი ეკონომიკური საფუძვლები, მაშინ როდესაც ქვეყანაში არ არის გამოყენებული ადამიანური რესურსი, არ არის გამოყენებული კლიმატური რესურსი, არ არის გამოყენებული ჩვენი მიწა, ჩვენს მცირე მეწარმეობაში ჩადებული პოტენციალი და ამ დროს ჩვენ რაღაცა ვალების აღებით გვინდა ტურიზმის განვითარება, ეს კიდევ უფრო მეტად გაამძაფრებს ინფლაციურ პროცესებს. ნებისმიერი ჩვენგანისთვის ნათელია, რომ პროცესები უკეთესობისკენ კი არა, უარესობისკენ წავა, იმიტომ რომ მიხეილ სააკაშვილს აქვს ტემპები აღებული მისი სიტყვებით ქვეყნის აღმშენებლობისა, მაგრამ ეს არის რეალურად ქვეყნის განადგურება, ეკონომიკის სრული გაჩანაგება, იმიტომ რომ ვალებით გზები დააგო, მემორიალები და სასტუმროები ააშენო, არა მგონია, რომ ამან ქვეყნის განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყოს ხელი. კრიზისი უფრო და უფრო გამწვავდება, თუ არ იქნა აქედან პოლიტიკური გამოსავალი მოძებნილი. პოლიტიკური გამოსავალი ერთია — საზოგადოება და პოლიტიკური ძალები ერთად უნდა დადგნენ და უნდა შეიცვალოს ქვეყანაში პოლიტიკური ბალანსი. ხელისუფლება უნდა შეიცვალოს და ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება დიდი კონსოლიდაცია საზოგადოებასა და პოლიტიკურ ძალებს შორის.

***— ბატონო ზვიად, ვხედავთ, რაც ხდება მსოფლიოში. ტუნისი, ეგვიპტე, ექსპერტები ფიქრობენ, რომ იგივე შესაძლოა ჩვენთანაც გამეორდეს. რას ფიქრობთ ამის შესახებ?***

— იქ, სადაც არ არის მედია თავისუფალი, იქ, სადაც არ არის სასამართლო, იქ, სადაც არ არის დამოუკიდებელი არჩევნები, ყოველთვის არის ამისი საფრთხე, რომ გამეორდეს იგივე, ვინაიდან ადამიანებს სჭირდებათ თვითგამოხატვის თავისუფლება პოლიტიკაშიც, სინდისის თვალსაზრისითაც, ეს არაფერი არ არის ამ ქვეყანაში. მოდით, გულწრფელად ვთქვათ — ამ ქვეყანაში არის კომუნისტური პერიოდი, რომელიც ჩვენ ყველას გვახსოვს, სადაც იყო ერთი პარტია, იყო ერთი ტელევიზია, სადაც იყო ერთი გაზეთი, სადაც იყო ერთი სასამართლო, სადაც ყველაფერში თავიდან ბოლომდე ერეოდა ძლევამოსილი სსრკ და ერთი ხელით იმართებოდა მთელი უზარმაზარი იმპერია, მოსკოვიდან დაწყებული, თბილისით დამთავრებული. დღეს არის პატარა მოდელი საქართველოში, სადაც მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა არიან მონოპოლისტები ყველა სფეროში, რომელიც ქვეყნის მართვისთვის არის საჭირო, რომელიც ეკონომიკის აღორძინებისთვის არის საჭირო და ისინი თავიანთი ცხოვრებით არიან უბედნიერესები და კმაყოფილი, ამიტომაც, ჩვენ რასაც გვეუბნებიან ოთხი ტელევიზიით და დღეში ოციოდე საინფორმაციო გამოშვებით, რომ კარგად ვცხოვრობთ, უბრალოდ, ამის შესახებ ტელევიზიების გარდა სხვა არგუმენტაცია არ გაგვაჩნია. მაცივარს გამოაღებს რიგითი ქართველი, ნახავს, რომ მძიმე მდგომარეობაა, ბაზარში წავა, ნახავს, რომ მის ჯიბეში რაც ფულია, ეს არ ჰყოფნის იმას, რომ ყოველდღიური სარჩო შეიძინოს. აფთიაქში შევა და მიხვდება, რომ დღეს ამ ქვეყანაში ავად გახდომას სიკვდილი სჯობია. ეს არის რეალობა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

***— თქვენ აცხადებდით, რომ თებერვლიდან აქციებს დაიწყებდით სოციალური კუთხით. იგეგმება ეს აქციები?***

— ჩვენ ვემზადებით ამისთვის, ამაზე განცხადებასაც უახლოეს დღეებში გავაკეთებთ. მიმაჩნია და კიდევ ერთხელ ვამბობ, აუცილებელია სოლიდარობა სოციალურ ფენებს შორის. როცა ვეტერანებს არბევენ, მაშინ დევნილები ჩუმად არიან, როცა დევნილებს არბევენ, მაშინ ვეტერანები არიან ჩუმად, როცა პენსიონერების პრობლემაა, მაშინ მასწავლებლები ხმას არ იღებენ, როცა მასწავლებლებს უჭირთ, მაშინ ექიმები არაფრად აგდებენ ამას. ეს არის დაყავი და იბატონეს კლასიკური სქემა, რომელსაც იყენებს ხელისუფლება. ჩვენ, პირველ რიგში, თუ გვინდა, რომ ხელისუფლებას ამ თავხედურ პოლიტიკაზე ვათქმევინოთ უარი, რაც ყოველდღიურ სოციალურ ფონს აუარესებს, აუცილებელია, ეს სოლიდარობის გრძნობა გაჩნდეს ცალკეულ ფენებს შორის. ჩვენ, ეროვნული საბჭო, ვაპირებთ სწორედ ამაზე მუშაობას, ამ მიმართულებით ორგანიზებას ჩვენი საქმიანობისა და, რა გამოგვივა, ყველა ერთად ვნახავთ. დარწმუნებული ვარ, ძალიანაც კარგად გამოვა ყველაფერი.

***— ალბათ, ოპოზიციასაც სჭირდება დღეს ერთად დგომა...***

— სჭირდება ოპოზიციას ერთიანობა და ჩვენ ყოველთვის ვიყავით და ვართ მზად ერთიანობისთვის, თანამშრომლობისთვის, კოორდინაციისათვის ოპოზიციასთან, მაგრამ ვირს პიტნა არ უნდოდა და ცხვირში სტენიდნენო. ჩვენ არ ვაპირებთ პიტნის მდგომარეობაში ყოფნას. ჩვენ ოპოზიციური პროექტების შექმნასა და განხორციელებაშიც მივიღებთ მონაწილეობას, ოღონდ უნდა დავიწყოთ კონკრეტული საქმე, ეროვნული საბჭო არ უნდა გამოვიდეს მხოლოდ მშვიდობის მტრედის როლში, უნდა განვახორციელოთ სოციალური პროექტები და საზოგადოების გააქტიურება უნდა დავიწყოთ. ვფიქრობ, ეს იქნება კარგი ნაბიჯი, კარგი დასაწყისი 2011 წელს და მე მინდა, 2011 წელი პოლიტიკურად იყოს გაცილებით უფრო წარმატებული მთელი ჩვენი ქვეყნისთვის, ვიდრე 2010 წელი.

***— ფაქტია, რომ ასე დიდხანს ველარ გაგრძელდება, რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს...***

— მე ვფიქრობ, რომ ამას გრძნობს საზოგადოებაც, ამას გრძნობს ამ ქვეყნის პოლიტიკური ოპოზიციაც და ამას ცნობს ხელისუფლებაც ყველაზე კარგად თვითონ. მე ვფიქრობ, რომ გადამწყვეტი იქნება წლევანდელი წელი. ეს არის წელი, რომლის შემდეგაც უნდა ჩამოყალიბდეს პოლიტიკური სურათი, თუ როგორ შეიცვლება პოლიტიკური ბალანსი ჩვენს ქვეყანაში. ჩვენს ქვეყანას აქვს ეს ერთი წელი მხოლოდ იმისათვის, რომ რაღაცა შეიცვალოს.

ნონა ცაბა ე

# რამ დააკომპლექსა საქართველოს მოსახლეობა

## ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილთან

***— ამერიკელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოში სამოქალაქო ბუნტი გარდაუვალია...***

— სრულებით არ გვჭირდებოდა, რომ ეს ამერიკელებს დაეწერათ. მე ამას სისტემატურად ვამბობ, მაგრამ, ხომ იცით, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. კი, ამ მომენტისთვის გვაჯობეს ხმელთაშუა ზღვის არაბებმა. ის, რაც იქ ხდება, არის მართლაც შესანიშნავი, იმიტომ რომ ხალხმა არ უნდა მოითმინოს ასეთი ერთკაციანი მმართველობა, ასეთი ავტორიტარული მმართველი. როგორ შეიძლება, 21-ე საუკუნეა, ბოლოს და ბოლოს. როგორ შეიძლება სააკაშვილის მოთმენა, თანაც იმათი პრეზიდენტები გიჟები მაინც არ არიან, ფსიქიკურად დაავადებულები მაინც არ არიან. ასეთ რამეებს მაინც არ აკეთებენ, ნახევარ დროს ცაში კი არ ატარებენ. ეს მხოლოდ იმაზე ფიქრობს, მსოფლიოს ხან ერთ ქვეყანაში გავარდეს და ხან მეორეში. ისინი დისკოთეკებზე კი არ ცეკვავენ და სტრიპტიზბარებში კი არ დარბიან სააკაშვილივით, ლონდონში რომ მიფრინავს ამისთვის. ისევ მისი გარემოცვიდან გამოვიდა ეს ინფორმაცია. ამას მაინც არ აკეთებენ ისინი, თანაც, იქ ფასებმა მოიმატა გაცილებით ნაკლებად, იმავე ეგვიპტეში, ვიდრე ჩვენთან. ჩვენთან რატომ დუმს ხალხი, არ ვიცი. კომპლექსი რომ დაგვადეს, ცხვრის ფარის კომპლექსს ვუწოდებ ამას. არ ვიცი, რისი ბრალია. მე ჩემს ერთ-ერთ ვერსიას გეტყვით. იგივე ეგვიპტე იყო ინგლისის კოლონია და დანარჩენი სანაპირო ხმელთაშუა ზღვისა იყო ფრანგების კოლონია. ეტყობა, ევროპელებმა შეიტანეს ეს ევროპული ცივილიზაცია. ჩვენ ვიცით, რომ მონური ჩვევები აზიური წესია და საქართველო იყო სწორედ ამ აზიური ქვეყნების კოლონია, ხან სპარსელების, ხან მონღოლების და ვისი არა. იმავე რუსეთშიც ძალიან არის გავრცელებული ეს თვისება.

***— დაგვაკომპლექსეს?***

— სწორედ რომ ასეა. ეს ხომ ფაქტია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ აზიელი არ გამოდის. გამოდის, მაგრამ ცხვრის ფარის კომპლექსით. წინ აუცილებლად ყოჩი უნდა მიუძღოდეს. გვჭირდება ეს? იმავე ეგვიპტეში მთელი შვიდი დღე ისე მიმდინარეობდა გამოსვლები, რომ არც ერთი ოპოზიციური პარტია არ გამოსულა, ხალხი გამოვიდა თვითონ, ისევე, როგორც ტუნისში, პრეზიდენტი რომ გააგდეს, ან იმავე ყირგიზეთში, რომლებიც მონღოლების შთამომავლები არიან. იქ ვინც კი იყო ოპოზიციონერი, ყველა ციხეში იჯდა, მაგრამ ხალხი მაინც გამოვიდა. ვიმეორებ, ოპოზიცია მერე მიდის. ამდენი ხანია ეგვიპტეში გამოსვლები მიმდინარეობს, როგორი ქაოსია და გუშინ ჩავიდა საზღვარგარეთიდან მუჰამედ ალ ბარადეი, ნობელის პრემიის ლაურეატი და გამოჩნდა კიდევ ვილაცა. ვიმეორებ, ჯერ ხალხი უნდა გამოვიდეს და მერე გამოჩნდება ლიდერი. რასაკვირველია, პოლიტიკური ლიდერი საჭიროა, აუცილებელიც კი არის, მაგრამ პოლიტიკური ლიდერი კი არ უნდა გამოვიდეს და უძახოს ხალხს, პირიქით, ჯერ ხალხი უნდა გამოვიდეს და ლიდერები მერე გამოჩნდებიან, ისინი, ვინც ამ ყველაფერს თავის ადგილას დააყენებს.

***— როგორ ფიქრობთ, გამოვა ჩვენთან ხალხი ქუჩაში?***

— რასაკვირველია, უნდა გამოვიდეს. როგორ შეიძლება იმის ატანა, რასაც ჩვენი საზოგადოება იტანს. არავითარ შემთხვევაში ამის ატანა არ შეიძლება. იყო დრო, როდესაც ვამბობდი ამ ე.წ. ვარდების რევოლუციის შემხედვარე, რომელიც სინამდვილეში რევოლუცია სრულებით არ იყო. ეს იყო გადატრიალება, არ იყო ეს რევოლუცია, ისევე, როგორც გამსახურდიას წინააღმდეგ, ისიც გადატრიალება იყო. ჩვენ კი გვჭირდება ნამდვილი რევოლუცია, რომელიც ყველაფერს შეცვლის, რეჟიმს შეცვლის, ახალ ცხოვრებას დაიწყებს. ამას ამერიკა სიხარულით ტაშს დაუკრავს, რომ ამ გიჟს მოიცილებენ. სააკაშვილი ამერიკის დასმულად რომ ითვლება, ამერიკა თვლის, რომ მისი სირცხვილია ასეთი გიჟი პარტნიორის ყოლა. მთლად ასეც არ არის ჩვენთან საქმე. ჩვენთან შეიძლება უფრო მეტი ხალხიც კი გამოსულა, ვიდრე ყირგიზეთში გამოვიდა. კიდევ ერთხელ ჩამოვთვლი საამაყო დღეებს: 2007 წლის 2 ნოემბერი, იმავე 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ რიყეზე 25 ნოემბერს შევიკრიბეთ, თანაც რამდენი ხალხი, „ტელეიმედის“ დასაცავად, მაგრამ ვერ დავიცავით, იმიტომ რომ გამყიდველები აღმოჩნდნენ შიგნით, თვითონ ტელეკომპანიაში. მერე იყო საამაყო დღეები 13 იანვარი, 20 იანვარი, ანდა 2009 წლის 9 აპრილი, 26 მაისი. რა, ხალხი არ გამოდიოდა? ხალხის ბრალი ის არის, რომ სულ მიჩერებული არიან ვიღაც ლიდერს. ეს ხალხის ბრალიც არის, რასაკვირველია. ლიდერის გარეშეა საჭირო გამოსვლა. მერე, კი ბატონო, მოვიდეს რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც ძლიერია და მოაწესრიგოს ყველაფერი, რომ ეს ყველაფერი კალაპოტში ჩადგეს, რომ არ დაუშვან მაღაზიების ძარცვა. ჩვენ რომ გვაშინებს ჩვენი ტელევიზია, ტუნისსა და ეგვიპტეში მაღაზიები იძარცვებაო. საქართველოში რომ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ იმ დეკემბრის დღეებში. მე მაშინ ლონდონში ვცხოვრობდი, ტელევიზორში ვუყურებდი, ბიბისის ტელევიზია აჩვენებდა მსხვილი პლანით, როგორ იძარცვებოდა სასტუმრო „თბილისი“. პარლამენტის წინ მიდიოდა სროლა და სასტუმრო „თბილისი“ კი პირწმინდად გაიძარცვა. ნურავინ იტყვის, რომ მხოლოდ ისინი აკეთებენ.



ჩვენთანაც გამოხტნენ იმწუთში, ოღონდ განსხვავება იმაშია, რომ ტუნისსა და ეგვიპტეში თავად ხალხმა შექმნა სახალხო მილიცია, რომლებიც იცავენ მაღაზიებს. ეს ყველაფერი ორგანიზებულად უნდა იყოს გაკეთებული, მაგრამ გარდაუვალია. მე ძალიან ვთხოვ ამ ხელისუფლებას შეგუებულ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც უსხედან იქ კუბლაშვილსა და მინაშვილს: არ გინდათ რევოლუციაში მონაწილეობა? ხელს მაინც ნუ უშლით ხალხს! ნუ ატყუებთ, არჩევნებით შევცვლითო. არჩევნებით არაფერი შეიც-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# აფხაზეთში კლანებს შორის ბრძოლა დაიწყო

თეა მარხვაი ე

**აფხაზეთში ვითარება ნელ-ნელა საინტერესო სახეს იღებს. როგორც ქართველი ექსპერტები ამბობენ, იქ მალე კლანებს შორის დაპირისპირება სერიოზულ სახეს მიიღებს.**

ეს აფხაზებისთვის ახალი ამბავი არ იქნება. აქ კლანები ერთმანეთს ყოველთვის უპირისპირდებოდნენ. თავიდან ერთმანეთს გუდაუთელი და ოჩამჩირელი აფხაზების კლანები ექიშპებოდნენ, მერე სხვა კლანებიც გამოჩნდნენ.

ბაღაფშის გაპრეზიდენტების შემდეგ კიდევ რამდენიმე კლანი გამოჩნდა. ახლა კი, როგორც ირკვევა, კლანები თავად ხელისუფლების შიგნით გაჩნდა. ქართველი ექსპერტი ირაკლი ცქიტიშვილი ვარაუდობს, რომ აფხაზეთში შეიძლება სერიოზული პროცესები განვითარდეს.

პროცესების განვითარებას კი ხელს რამდენიმე ფაქტორი შეუწყობს. სხვა თუ არაფერი, წინ თვითმმართველობის არჩევნებია. არჩევნების წინ და მის შემდეგაც ყველგან, მათ შორის არაღიარებულ რესპუბლიკებშიც რაღაცეები ხდება.

ამ მხრივ გამონაკლისი არც აფხაზეთია, სადაც ამ ცოტა ხნის წინ ძალიან სერიოზული პროცესები განვითარდა. ეს აურზაური სოხუმში სერგეი სტეპაშინის ვიზიტს მოჰყვა. აფხაზები რუსეთის საანგარიშო პალატის დასკვნის გამო აღშფოთდნენ. ზემოთ ნახსენები სტეპაშინი საანგარიშო პალატის თავკაცია.

სტეპაშინის დასკვნას აფხაზური სახალხო პარტიის თავკაცმა იაკუბ ლაკობამ სპეციალური წერილი მიუძღვნა. ამ წერილის გამო ის ცოტა ხნით გისოსებს მიღმაც კი გაუშვეს. ამას სოხუმში საპროტესტო აქციებიც მოჰყვა.

მართალია ლაკობა ახლა თავისუფლებაზეა, მაგრამ ეს ამბავი ჯერ არ დასრულებულა და მას, როგორც ამბობენ, გაგრძელება აუცილებლად ექნება.

ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელი ირაკლი ცქიტიშვილი ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს ერთ ინციდენტს, რომელიც რაულ ქიშმარიას შეემთხვა.

— ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველების მძიმე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციების მიღებას თითქოს შევეჩვიეთ კიდეც. ქართველების ძარცვა, დაყაჩაღება, გატაცებები ფულის გამოძალვის მიზნით, გალის რაიონში ჩვეულებრივი მოვლენაა, რის შესახებაც არაერთხელ თქმულა და დაფიქსირებულა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. თანაც, ყოველ ამ ფაქტის უკან მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენელთა ბანდიტური ინტერესები იკვეთება. ნამდვილად არ გვეგონა, რომ აფხაზური ძალოვანი სტრუქტურები არა მარტო ქართველებს, არამედ აფხაზებსაც გასაოცარი სისასტიკით უსწორდებოდნენ, — ამბობს ქართველი ექსპერტი.

ამბავი, რომელზეც ირაკლი ცქიტიშვილი ყურადღებას ამახვილებს, 22 იანვარს მოხდა. ამ ინციდენტთან დაკავშირებით აფხაზური მედიასაშუალებები ძალიან აქტიურად წერდნენ.

როგორც ირკვევა, იმ დღეს აფხაზეთის ხელისუფლების უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს გალის მკვიდრი რაულ ქიშმარია. როგორც „აპსნიპრესი" იუწყებოდა, რაულ ქიშმარიას თავისი კუთვნილი ავტომანქანით გადაჰქონდა 10 ტონა პროდუქტი.

სახელისუფლებო საიტს არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, რომ დაკავებულ რაულ ქიშმარიას აფხაზი ძალოვანები სასტიკად გაუსწორდნენ. არადა, ქიშმარია ისე იყო ნაცემი, რომ საავადმყოფოში ამოყო თავი.

ირაკლი ცქიტიშვილს იმის გარკვევა აინტერესებს, „რა ესაქმებოდათუშიშროების სამსახურის თანამშრომლებს უბრალო ადამიანთან, რომელიც ბიზნესით არის დაკავებული, თანაც ეროვნებით აფხაზია?"

— აფხაზეთის ძალოვნების განცხადებით, დაკავების მიზეზი ყოფილა ის, რომ აღნიშნული 10 ტონა პროდუქტი „იყო კონტრაბანდა" და თანაც ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან. წესით, ეს მართლაც ასე რომ ყოფილიყო, აფხაზურ მედიას ხმა არ უნდა ამოეღო და აი რატომ: იმისათვის, რომ ზუგდიდიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიტანო რამე პროდუქტი (აქ კი 10 ტონაზეა საუბარი), საჭიროა საოკუპაციო კორდონის გადალახვა, რომელსაც რუსი ოკუპანტები ინგურის მთელ სიგრძეზე აკონტროლებენ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა იმდენჯერ განაცხადა, რომ გალის რაიონს და საერთოდ აფხაზეთს რუსი ჯარები ისე საიმედოდ იცავენო, რომ ჩიტიც კი ვერ შემოფრინდებაო. მიუხედავად იმისა, რომ რუსი ოკუპანტების ცხვირწინ გალის რაიონში არაერთი ტერორისტული აქტი და არაერთი თავდასხმაა დაფიქსირებული იქ მცხოვრებ ქართველებზე, ბაღაფში მაინც აცხადებდა, რომ რუსები, თურმე, მშვიდობას იცავენ რეგიონში. აქ კი, სრულიად ბანალურმა ფაქტმა — 10 ტონა პროდუქტის კონტრაბანდული გზით შეტანამ, როგორც თვითონ ამის შესახებ აცხადებენ, ბაღაფშის მთელი ეს თეორია თავდაღმა დააყენა. გამოდის, რომ რუსები იქ რეალურად რას აკონტროლებენ, მხოლოდ მათ იციან. თუმცა ეს რეალობა საკმაოდ საეჭვოდ რომ გამოიყურება, ამ შემთხვევითაც დასტურდება. თუ ტვირთი მართლაც „კონტრაბანდული" იყო, შეგვიძლია ერთმნიშვნელოვნად განვაცხადოთ, რომ მის გატარებაში რუსმა მესაზღვრეებმა ფული აიღეს, — ამბობს ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელი.



ქართველ ექსპერტს ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია ის ამბები, რაც აფხაზეთში ქიშმარიას ცემის გამო დატრიალდა.

— აღნიშნული ფაქტის ირგვლივ საკმაოდ სერიოზული დაძაბულობა შეიქმნა. ნაცემი ქიშმარიას დასაცავად და დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნით მთელი მისი სანათესაო გამოვიდა. უფრო მეტიც, აქციის მონაწილეებს შეუერთდნენ სხვა მძლოლებიც, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს მომხდარი, ვინაიდან სხვა დროს ადვილი მოსალოდნელია, რომელიმე მათგანი გახდეს ასეთივე ალვირახსნილობის მსხვერპლი (თუ ჯერ კიდევ არ გამხდარა, მაგრამ მსგავსი რეზონანსი არ გამოუწვევია). სიტუაციას აფხაზურ სინამდვილეში ისიც ართულებდა, რომ რაულ ქიშმარია აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრის მერაბ ქიშმარიას და არანაკლებ გავლენიანი ფიგურის რუსლან ქიშმარიას ნათესავია. შესაბამისად, მომხდარი შეიძლება გადაზრდილიყო კლანებს შორის დაპირისპირებაში. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო აღნიშნული ფაქტის გამოძიება ბაღაფშმა პირად კონტროლზე აიყვანა, — ამბობს ირაკლი ცქიტიშვილი.

ერთი მხრივ, მართლაც კარგია ბაღაფში უბრალო ადამიანის ბედით რომ დაინტერესდა, მაგრამ საინტერესოა, რატომ არ დაინტერესდა გასულ წელს სერგეი ბაღაფში იმ გალელების ბედით, რომლებსაც აფხაზი ბოევიკები შარშან დაუნდობლად გაუსწორდნენ. ამ კითხვაზე პასუხი ირაკლი ცქიტიშვილსაც აინტერესებს.

— კარგად გვახსოვს, თუ როგორ უმოწყალოდ დაერივნენ გალის რაიონის მცხოვრებლებს შარშან აფხაზი ბანდფორმირებები, რომელთა უკანაც აფხაზი მაღალჩინოსნები იდგნენ. შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, 5 სახლი იქნა გადამწვარი. მაშინ ბაღაფშმა სიტუაციის დასაწყნარებლად განაცხადა, „გალელებიც ჩვენი მოქალაქეები" არიანო, თუმცა არც საქმე იქნა გამოძიებული, არც ვინმე დასჯილი და რაღა თქმა უნდა, არც ბაღაფშს აუყვანია ის საქმე პირად კონტროლზე. მისი მეუღლის და შვილების სისხლით მონათესავე გალელ ქართველებს მისი სეპარატისტული რეჟიმი ხომ სრულფასოვან ადამიანებად არ თვლის. აქ კი ერთი აფხაზის ცემას ამხელა ალიაქოთი მოჰყვა, — ამბობს ირაკლი ცქიტიშვილი.

ქართველი ექსპერტის განმარტებით, ბაღაფშის დაინტერესება ქიშმარიას ბედით კლანებს შორის არსებულ შესაძლო დაპირისპირებაზე მიუთითებს.

— ეს შეიძლება მიუთითებდეს სწორედ იმაზე, რომ რაულ ქიშმარია გახდა კლანებს შორის (შესაძლოა ბიზნეს□კლანების) დაპირისპირების მსხვერპლი. თითოეულ კლანს კი აფხაზეთში მაღალჩინოსნები უდგანან უკან და ასეთმა დაპირისპირებამ შესაძლოა სერიოზული დაძაბულობა გამოიწვიოს, — მიიჩნევს ექსპერტთა კლუბის ექსპერტი.

მისი აზრით, ამ კონტექსტში აღსანიშნავია აფხაზეთში არსებული პოლიტიკური მდგომარეობაც.

— ბაღაფშის რეჟიმის მიმართ ბოლო დროს გაძლიერებული კრიტიკის ფონზე ისედაც საკმაოდ მძიმე სიტუაციაა შექმნილი. იანვარში რუსეთის კონტროლის პალატის ხელმძღვანელის სერგეი სტეპაშინის ვიზიტმა კი არა მარტო პოლიტიკური სპექტრის, არამედ სამოქალაქო საზოგადოების აფორიაქებაც გამოიწვია. ოპოზიციის გააქტიურება გასაგებია — ბაღაფში თავისი „პრეზიდენტობის" ბოლო ვადაში იმყოფება და ყველა პოლიტიკურმა ძალამ თადარიგი უნდა დაიჭიროს, რათა შესაფერის დროს ალბიონზე აღმოჩნდეს. ბაღაფშის ამოცანას კი სიტუაციის სრული კონტროლი წარმოადგენს. სწორედ ეს არის ის, რისთვისაც მოსკოვი ამდენ ფულს უხდის და ამდენ გაფლანგვას პატიობს. თანაც, უნდა შეინარჩუნოს თავისი პოსტი შემდეგ არჩევნებამდე, რასაც რუსეთი საერთაშორისო საზოგადოებასთან დიალოგში აფხაზეთში არსებული დემოკრატიის მაგალითად გამოიყენებს. ამიტომაც, ასეთი პატარა ინციდენტებიც კი, რომელთა მსხვერპლი „ტიტულოვანი ერის" წარმომადგენელია, აფხაზური სინამდვილისა და იქ არსებული დაუწერელი კანონების გათვალისწინებით შესაძლოა საკმაოდ დიდ პრობლემად გადაიქცეს, — ვარაუდობს ექსპერტი ცქიტიშვილი.

ცქიტიშვილის განცხადებით, ზემოთ მოყვანილ სიტუაციაში ალბათ არც არავინ იქნება დასჯილი სათანადოდ და სიტუაცია, დიდი ალბათობით, საკმაოდ მაღალ დონეზე გარჩევებით და კლანებს შორის შერიგების გზის ძიებით დასრულდება, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ხელისუფლების (განსაკუთრებით ძალოვანი სტრუქტურების) წარმომადგენლები უკვე „თავის ხალხს" დაერივნენ, შეიძლება მომავალში საკმაოდ სერიოზული პროცესების საბაბი გახდეს.

ირაკლი ცქიტიშვილის მოსაზრებებს სხვა ექსპერტებიც იზიარებენ. აფხაზეთში პროცესები რომ ძალიან საინტერესოდ მიდის, ამას არაერთი ფაქტი ადასტურებს. თვითმმართველობის არჩევნების წინ შეიძლება კიდევ რაიმე საინტერესო სკანდალის მომსწრენი გავხდეთ. აფხაზურ ოპოზიციას ბაღაფშის მიმართ სერიოზული პრეტენზიები გააჩნია.

ოპოზიცია ღიად ამბობს, რომ ბაღაფშმა აფხაზეთი რუსეთის კუთვნილებად აქცია. ომის დასრულების შემდეგ აფხაზეთი ისედაც რუსეთის იყო, მაგრამ ბაღაფშმა ეს ყველაფერი „გააპრავა". არადა, 2004 წელს აფხაზებმა მის სასარგებლოდ იმიტომ გააკეთეს არჩევანი, რომ კრემლი მის წინააღმდეგ გამოდიოდა. ბაღაფში კი იმაზე პრორუსული აღმოჩნდა, ვიდრე კრემლის ფავორიტი რაულ ხაჯიმბა იყო.

## რამ დააკომპლექსა საქართველოს მოსახლეობა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ვლება, ამ რეჟიმის შეცვლა შეიძლება მხოლოდ რევოლუციით. სხვანაირად შეუძლებელია, მაგრამ ჯერ ხალხი უნდა გამოვიდეს და არაა საჭირო, მათ დაუძახოს რომელიმე ოპოზიციურმა პარტიამ.

***— ფიქრობთ, რომ გამოვა?***

— რასაკვირველია. ეს გარდაუვალია. ხალხი ნუ მიაშტერდება ზოგიერთ ოპოზიციურ ლიდერს, რომელიც გამოხტება და გაჰყვირის, მე ვარ და მხოლოდ მე ვიციო.

***— ამბობენ, თებერვლის ბოლო-მარტის დასაწყისი პიკი იქნებაო...***

— რა საჭიროა ამდენი ცდა? ამის გადადება როგორ შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, უნდა ამოვწყდეთ შიმშილით?! უნდა დავძლიოთ ეს მონობის კომპლექსი. დაშინებულია ჩვენი საზოგადოება. მაგალითს გეტყვით: ამ დილით ტელევიზორს ვუყურებდი, ავტოავარია მოხდა და ქალბატონს ეკითხებოდნენ, როგორ მოხდაო. კამერის დანახვაზე ისტერიკა დაემართა, მე არაფერი ვიცი, არაფერი დამინახავსო. შეიძლება, ასე დაშინებული იყო ტელეკამერის დანახვაზე?! ეს სისტემატურად ხდება, ყოველდღე ვხედავ ამას. შეშინებული სახეები აქვთ, როგორც კი ტელეკამერას დაინახავენ, იმიტომ რომ ტელეკამერასთან ვანო მერაბიშვილი ასოცირდება მაშინვე. თუ დიდი მასა გამოვიდა, მაშინ ეს კომპლექსი დაძლეული იქნება. შესაძლებელია შიშის კომპლექსის დაძლევა, ცხვრის ფარის კომპლექსის დაძლევა კი ცოტა უფრო გაგვიჭირდება. ეს ორი კომპლექსი უნდა დავძლიოთ და რაც შეიძლება მალე გავისტუმროთ სააკაშვილი, თორემ, ვიმეორებ და ყოველთვის გავიმეორებ, სააკაშვილს აწყობს ახალი ომი რუსეთთან, ასევე აწყობს ეს პუტინს. ეს ორივეს აწყობს და არიან ამის გამკეთებლები. სანამ კიდევ რაიმე უბედურებას გადაგვყრიან, ვიდრე ახალი სისხლი დაუღვრიათ, დროზე მოვაშოროთ. კიდევ ერთი რამის თქმა მინდა — კი ბატონო, ეგვიპტეში დღეისათვის ორასი კაცია მოკლული. ჩვენთან შეიძლება ეს გაკეთდეს ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე. რევოლუცია არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სისხლისღვრას. არის სისხლიანი რევოლუციები და არის ე.წ. ხავერდოვანი რევოლუციები.

***— როგორ ფიქრობთ, უსისხლოდ დათმობს პოზიციებს სააკაშვილი?***

— სააკაშვილი მშიშარაა, უცებ მოკურცხლავს. მას გაქცევა ისედაც უნდა.

## ლევან ვარშალომიძემ თურქეთის რესპუბლიკაში შეხვედრები გამართა

აჭარის მთავრობის ოფიციალური დელეგაცია მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის ხელმძღვანელობით ოფიციალური ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ანკარაში იმყოფება.

ვიზიტის ფარგლებში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თურქეთის სახელმწიფო მინისტრებთან ფარუქ ნაფიზ ოზაქსა და ფარუქ ჩელიქს შეხვდა. შეხვედრის მთავარი თემა ორი ქვეყნის რეგიონებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება იყო. ყურადღება რეგიონში ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ პროექტებზე გაკეთდა.

ლევან ვარშალომიძე თურქეთის პრემიერ-მინისტრის სამსახურთან არსებული სამოსახლო მასივების განვითარების ადმინისტრაციის თავმჯდომარეს ერდოღან ბაირაქთარსა და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო რადიოსა და ტელევიზიის (თღთ) გენერალურ დირექტორს იბრაჰიმ შაჰინს შეხვდა.

**მედიანიუსი**

## თოვლმა კახეთში პრობლემები შექმნა

თოვლმა კახეთში სატელევიზო ანძები დააზიანა, რამდენიმე სატრანსფორმატორო პუნქტი კი ავარიულად გამოირთო, - ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება.

რეგიონში 8 დასახლებულ პუნქტს, კერძოდ, თელავის რაიონში სოფელ სანიორეს, აკურას და ქვემო ხოდაშენს, ყვარლის რაიონის სოფელ შილდას, გურჯაანის რაიონის სოფლებს ზიარს და ფხოველს, სიღნაღის რაიონში ერისიმედს და ქალაქ ლაგოდეხის ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდება.

კახეთის ენერგოდისტრიბუციის„ ცნობით, რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო გურჯაანის ზონაში ზიარის, ხოლო ლაგოდეხის ზონაში ბუდიანოვკის 10 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზია დაზიანებული, რამაც აღნიშნულ ტერიტორიებზე მდებარე სატელევიზიო ანძების გათიშვა და დაზიანება გამოიწვია. აღნიშნული სადენი გადის ტყის მასივზე, რაც ტექნიკური სამსახურისთვის სირთულეს ქმნის. დაზიანებული ადგილის საპოვნელად დღის განმავლობაში მუშაობა მიმდინარეობდა, თუმცა დაზიანება ამ დრომდე ნაპოვნი არ არის.

**ინტერპრესნიუსი**

## ვაჭრობისთვის განკუთვნილი საქონლის ხელით შემოტანა აიკრძალა

საქართველოს სახმელეთო საზღვრებზე ვაჭრობისთვის განკუთვნილი საქონლის ხელით შემოტანა აიკრძალა.

1 თებერვლიდან აიკრძალა ამავე სახის ტვირთის სამგზავრო ავტოსატრანსპორტით შემოტანაც. სავაჭროდ განკუთვნილი საქონლის შემოტანა დასაშვები იქნება მხოლოდ სატვირთო ტრანსპორტის საშუალებით.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის, რუსუდან კემულარიას განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია ფინანსთა სამინისტროს ახალი კურსის შესაბამისად. რომელიც სხვასთან ერთად, ბიზნესის არაჯანსაღი კონკურენციისა და კონტრაბანდისგან დაცვას ითვალისწინებს და ყველა გადამხდელს თანაბარ პირობებში ჩააყენებს. რაც შეეხება იმ საკითხს, ვინ გადაწყვეტს, პროდუქცია განკუთვნილია თუ არა ეკონომიკური საქმიანობისთვის, რუსუდან კემულარიას განმარტებით, საბაჟო პროცედურების გავლას მებაჟე უზრუნველყოფს და, შესაბამისად, მებაჟის პრეროგატივა იქნება, ჩაითვალოს თუ არა ამა თუ იმ ფიზიკური პირის მიერ შემოტანილ საქონელს ვაჭრობისთვის განკუთვნილ პროდუქციად.

**პრაიმ-ნიუსი**

## სამარშრუტო ტაქსების ტენდერში გამარჯვებული კომპანიები მგზავრობის საფასურს არ გააძვირებენ

სამარშრუტო ტაქსების ტენდერში გამარჯვებული კომპანიები მგზავრობის საფასურს არ გააძვირებენ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა აკაკი ჯოხაძემ განუცხადა.

მისივე თქმით, გუშინ მერიაში გამართული სატენდერო კომისიის სხდომაზე ტენდერში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებს დაუსვევს კითხვები მგზავრობის ფასის გაძვირების შესახებაც. კომპანიების წარმომადგენლების მტკიცებით, მგზავრობის ტარიფი არ გაიზრდება. ჯოხაძემ ასევ აღნიშნა, რომ გამარჯვებული სატრანსპორტო კომპანიები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით არიან დარეგისტრირებული. გადამყვანი კომპანიის გამოსავლენად თბილისის მერიის სპეციალურმა კომისიამ ტენდერი გუშინ ჩაატარა. ტენდერში გამარჯვებულად შპს „თბილ ლაინი", შპს „კაპიტალ გრუპი", შპს „თბილ ქარი" და შპს „ფაბლიქ ქარი" დასახელდნენ. ვაკე-საბურთალოსა და გლდანი-ნაძალადევის ლოტებზე „თბილ ლაინმა" გაიმარჯვა, ძველი თბილისი-დიდგორის რაიონში გადაზიდვებს "კაპიტალ გრუპი" განახორციელებს, ისან-სამგორში — „ფაბლიკ ქარი", დიდუბე ჩუღურეთში კი — „თბილქარი".

**ინტერპრესნიუსი**

# რატომ გაუშვეს გელა ბეჟუაშვილი ამერიკაში

ნათია ხურცილავა

**თებერვლის შუა რიცხვებში პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე წლიური ანგარიშით წარდგება. თუმცა, ჯერჯერობით კონკრეტული თარიღი არ სახელდება. ტელეპროექტის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი უკვე პარლამენტის ტრიბუნიდან ჩააბარებს თავის მოქალაქეებს ანგარიშს.**

რა საკითხებზე გაამახვილებს სააკაშვილი ყურადღებას, ჯერ უცნობია. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, მან უკვე დაიწყო გამოსვლის ტექსტზე მუშაობა.

ტელეპროექტში „პრეზიდენტი პასუხობს ხალხს" სააკაშვილმა, როგორც ექსპერტები აცხადებენ, იმ პრობლემებს ვერ გასცა პასუხი, რომელიც რეალურად ქვეყნის წინაშე დგას. იქნება თუ არა პრეზიდენტის წლიური ანგარიში ამომწურავი, რამდენად იქნებიან კმაყოფილი მოქალაქეები მისი ანგარიშით, ამაზე პასუხი პრეზიდენტის ანგარიშის მოსმენის შემდეგ გახდება ცნობილი.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ტრადიციული პრესკონფერენცია გამართა. სწორედ ამ პრესკონფერენციაზე გააკეთა განცხადება მანანა მანჯგალაძემ პრეზიდენტის პარლამენტში ანგარიშით გამოსვლის შესახებ.

როგორც მანჯგალაძე აცხადებს, პრეზიდენტი უკვე შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს.

კონსულტაციები უკვე გაიმართა და პრეზიდენტიც უკვე მუშაობს მოხსენების ტექსტზე. თუმცა, ჯერჯერობით ფორმატი დაზუსტებული არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ პრეზიდენტის გამოსვლას ანგარიშის სახე ექნება.

— უკვე მიმდინარეობს შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც საბოლოოდ დაზუსტდება და დაკონკრეტდება. პრაქტიკულად ეს იქნება ერთგვარი ანგარიში ხალხს. რა გაკეთდა გასული წლის განმავლობაში. რა გეგმები, პერსპექტივები და გამოწვევები არსებობს ქვეყნის წინაშე 2011 წელს. როგორია ქვეყნის პირველი პირის ხედვა და ხელისუფლების პოზიცია. ასეთი იქნება მოხსნება იმ პრობლემატიკაზე, რომელიც ქვეყანასა და მოსახლეობას აწუხებს პირველ რიგში, — განაცხადა მანჯგალაძემ.



მანანა მანჯგალაძის განცხადებით, ანგარიშში საუბარი იქნება სოციალურ, საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხებზე.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ სააკაშვილის წლიური ანგარიში კონკრეტული იქნება და კონკრეტულად შეეხება იმ საკითხებს, რომელიც აწუხებთ ადამიანებს.

— ანგარიშში იქნება ის საკითხები, რომელიც ყველას აწუხებს. ეს არის როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური, ასევე საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხები. ეს იქნება საკმაოდ კონკრეტული ხედვა, კონკრეტული გამოწვევების და საკითხების შესახებ, — განაცხადა მანჯგალაძემ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ პრეზიდენტი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს და თვალყურს ადევნებს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში მიმდინარე სასამართლო პროცესს, რომელიც 2006 წელს რუსეთის ფედერაციიდან ქართველების ეთნიკური ნიშნით დეპორტაციას ეხება.

მანჯგალაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება აღნიშნულ პროცესს საქართველოსთვის უდიდეს სამართლებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა დააკონკრეტა, როდის გაემგზავრება სააკაშვილი მიუნხენის საერთაშორისო უსაფრთხოების კონფერენციაზე. 4-დან 6 თებერვლის ჩათვლით მიუნხენში საერთაშორისო უსაფრთხოების კონფერენცია გაიმართება.

საერთაშორისო უსაფრთხოების კონფერენცია ყოველწლიურად იმართება. რიგით 46-ე კონფერენცია, სადაც 350 მაღალი რანგის სტუმარი მიიღებს მონაწილეობას.

მიუნხენში საქართველოს პრეზიდენტი ორმხრივ შეხვედრებსაც გამართავს. როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერმა განაცხადა, მიხეილ სააკაშვილი გერმანიის კანცლერთან ანგელა მერკელთან გამართავს შეხვედრას. ასევე დაგეგმილია პირისპირ შეხვედრა შვეიცარიის პრეზიდენტთან.

მანანა მანჯგალაძის განცხადებით, დანარჩენი შეხვედრების გრაფიკი დგინდება. თუმცა, ჯერ უცნობია კიდევ რომელი ქვეყნის ლიდერებთან გამართავს სააკაშვილი შეხვედრას და რა საკითხები იქნება განხილული.

— კონფერენციის დღის წესრიგში რამდენიმე კონკრეტული საკითხია შეტანილი: ახალი გამოწვევები, საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკა, ფინანსური კრიზისი, კიბერ ომი, განიარაღება და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა. ვიზიტის შესახებ ინფორმაცია უკვე გაავრცელა საგარეო საქმეთა სამინისტრომ, მაგრამ მე ორმხრივი შეხვედრების შესახებ უფრო კონკრეტულ ინფორმაციას მოგაწვდით, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, ახლა დგინდება დეტალები ორმხრივ შეხვედრებთან დაკავშირებით.

— დაგეგმილია პრეზიდენტ სააკაშვილის და გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის შეხვედრა. მოლაპარაკებები გაიმართება ასევე შვეიცარიის პრეზიდენტთან, — აღნიშნა პრესსპიკერმა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ისაუბრა მანანა მანჯგალაძემ, ეს გელა ბეჟუაშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებას შეეხება.

საქართველოს საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელი გელა ბეჟუაშვილი შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ბეჟუაშვილი ამერიკაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად თვენახევრით იმყოფება, დროებით დატოვა თანამდებობა და დაბრუნების შემდეგ კვლავ ჩაუდგება სათავეში საგარეო დაზვერვას.

## დასავლეთი მუბარაქისა და სააკაშვილის მსგავს დიქტატორებს მხარს არ დაუჭერს



ეროვნული ფორუმის ლიდერ გუბაზ სანიკიძის განცხადებით, ეგვიპტის და ტუნისის მოვლენების გათვალისწინებით, დასავლეთი ჰოსნი მუბარაქისა და მიხეილ სააკაშვილის მსგავს დიქტატორებს მხარს არ დაუჭერს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სანიკიძემ განაცხადა, დასავლეთი რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო პროცესის აღდგენის მომხრეა, რუსეთი კი, თავის მხრივ, საქართველოსთან მოლაპარაკებას მხოლოდ მას შემდეგ დაიწყებს, რაც ხელისუფლებიდან სააკაშვილი წავა.

ეროვნული ფორუმის ლიდერის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილი თამაშგარე მდგომარეობაში რჩება.

— დასავლეთმა სააკაშვილს ათქმევინა, რომ საქართველო რუსეთთან მოლაპარაკებებისთვის მზად არის, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, რის გამეორებაც ასტანას ეუთოს სამიტზეც მოხდა, თუმცა კრემლმა მკაფიოდ დააფიქსირა თავის პოზიცია, რომ სააკაშვილთან მოლაპარაკებას არ აპირებს. როგორც ვხედავთ, დასავლეთი რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო პროცესის დაწყებას უჭერს მხარს, ასეთ შემთხვევაში კი, სააკაშვილი თამაშგარე მდგომარეობაში რჩება, — აღნიშნა სანიკიძემ და დასძინა, რომ სააკაშვილის შემდეგ ხელისუფლებაში აუცილებლად ეროვნული ძალები უნდა მოვიდნენ, რადგან სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, რომელიმე არაეროვნულმა პარტიამ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს.

სანიკიძის განცხადებით, იმას, რომ დასავლეთი სააკაშვილს მხარს აღარ დაუჭერს, არაბულ ქვეყნებში განვითარებული მოვლენებიც მოწმობს, რადგან დასავლეთი მუბარაქის და სააკაშვილის დიქტატორობას აღარ დაეყრდნობა.

**მედიანიუსი**

## „ჭიათურმანგანუმის" ყოფილი თანამშრომლები სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას ითხოვენ

სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის" ყოფილი თანამშრომლები, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას ითხოვენ.

„ჭიათურმანგანუმის" დაზარალებულ თანამშრომლებთან ერთად, „სახალხო კრების" წარმომადგენელმა, თემურ ლომსაძემ პრესკონფერენცია გამართა.

ლომსაძის განცხადებით, მათი უფლებების დასაცავად „სახალხო კრება" ბოლომდე იბრძოლებს. მისი თქმით, არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილებები, სააღსრულებო ფურცლები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს „ჭიათურმანგანუმის" დაზარალებული თანამშრომლების უფლებების დაცვა. მათ „ჭიათურმანგანუმის" მუშაობის შედეგად დაენგრათ სახლები, ზოგი ყოფილი თანამშრომელი დაინვალიდებულია და მათ მიმართ სასამართლოს კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები აქვს გამოტანილი, რომელიც ამ დრომდე არ არის აღსრულებული.

„ჭიათურმანგანუმის" ერთ-ერთმა დაზარალებულმა, ლამზირა კობიაშვილმა განაცხადა, რომ მისი მეუღლე „ჭიათურმანგანუმის" ყოფილი თანამშრომელია, რომელიც დაინვალიდდა, 34 წელია ინვალიდია, 30 წლის განმავლობაში ღებულობდა პენსიას, თუმცა მას შემდეგ, რაც „ჭიათურმანგანუმი" სხვა კომპანიამ იყიდა, პენსიის სიაში მისი მეუღლე აღარ ჩასვეს. ამის შესახებ მან პრეზიდენტს აცნობა, რომელიც ჭიათურაში იმყოფებოდა. პრეზიდენტი დაპირდა, რომ აღადგენდა რეგრესის პენსიებს, თუმცა ეს დაპირება, ლამზირა კობიაშვილის განცხადებით, ამ დრომდე არ შესრულებულა.

**ინტერპრესნიუსი**

## რაიონებში გრიპის ვირუსით დაინფიცირებულებისთვის სამედიცინო მომსახურება ფასიანია

მუნიციპალიტეტებში გრიპის ვირუსით დაინფიცირებულებისთვის სამედიცინო მომსახურება ფასიანია, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

— ჩვენ, ჯანდაცვის სამინისტროდან ბრძანება ან მითითება, რომ გრიპის ვირუსით დაინფიცირებულებს უფასოდ გავუწიოთ სამედიცინო დახმარება, არ მიგვიღია. პოლიკლინიკებში უფასო მომსახურება მხოლოდ 5 წლამდე და 60 წლის ზემოთ მყოფი ასაკის ადამიანებს ეკუთვნით, — აღნიშნა გურჯაანის პოლიკლინიკის დირექტორმა სოფიკო ქუმსიაშვილმა.

**მედიანიუსი**

## მანდატურებს კერძო სკოლებსა და პროფსასწავლებლებშიც შეიყვანენ

მანდატურის ინსტიტუტი კერძო სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებშიც ამოქმედდება. შესაბამისი ცვლილებები და დამატებები პროფესიული და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონებში შედის. საკანონმდებლო ინიციატივა მთავრობას ეკუთვნის. კანონპროექტები პარლამენტის ბიუროს დღეს გამართულ სხდომაზე დარეგისტრირდა.

როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გიორგი ხუროშვილმა აღნიშნა, მთავრობა მათი დაჩქარებული წესით განხილვას ითხოვს. როგორც მან ბიუროს შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მოსწავლეების უსაფრთხოება ყველგან თანაბრად უნდა იყოს დაცული.

ხუროშვილის ინფორმაციით, საჯარო სკოლებში მანდატურების შეყვანის შემდეგ მოზარდებს შორის დანაშაულებრივი ფაქტები, გამოძალვა და ე.წ. შატალო თითქმის 85 პროცენტით არის შემცირებული. ამიტომაც ეს ინსტიტუტი კერძო სკოლებსა და პროფსასწავლებლებშიც უნდა ამოქმედდეს.

**მედიანიუსი**

## კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას უფლებები ეზრდება

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას უფლებები ეზრდება. შესაბამისი ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შედის, რომლის ინიციატორები დეპუტატები: კახაბერ ანჯაფარიძე და ანდრო ალავიძე არიან.

კანონპროექტის ინიცირება პარლამენტის ბიუროს დღეს გამართულ სხდომაზე მოხდა.

განსახორციელებელი ცვლილებების თანახმად, გარკვეულ სამართალდარღვევაზე სახდელის დადების უფლება კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასაც ექნება. კერძოდ, მას შემდეგი საქმეების განხილვისა და მათზე ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება მიენიჭება: რადიოდანადგართა მოწყობა და ექსპლუატაცია სათანადო რეგისტრაციის ან ნებართვის გარეშე; რადიოგადამცემ მოწყობილობათა უნებართვოდ დამზადება და გამოყენება; მაუწყებლობის სფეროში ულიცენზიოდ საქმიანობა ან ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა; ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ულიცენზიოდ ან მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით ან და ნუმერაციის რესურსით სარგებლობა; რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების დაპროექტების, წარმოების, მშენებლობის, გამოყენების, ექსპლუატაციის, უცხო ქვეყნიდან შემოტანისა და რეალიზაციის წესების დარღვევა; რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების დამონტაჟებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევა; რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით მომუშავე კავშირგაბმულობის საშუალებების რეგისტრაციაში გაუტარებლობა.

**მედიანიუსი**

## თბილისში ოთხი კლინიკის მფლობელი ინდური წარმოშობის ბიზნესმენი დანიელ გუფთა გახდა

თბილისში პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ე. წ. არამიანცის) კომპლექსში შემავალი ოთხი კლინიკა 2 290 000 ლარად გაიყიდა. კლინიკების მფლობელი ინდური წარმოშობის ბიზნესმენი დანიელ გუფთა გახდა.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, აღნიშნული კომპანია მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში უძრავი ქონების ბაზარზე მუშაობს.

როგორც გუშინ პრესკონფერენციაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტის პრესსპიკერმა გიორგი კალანდაძემ განაცხადა, გაყიდულ კლინიკებში მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდება,

— აღნიშნული კლინიკების ინვესტირების შემდეგ თბილისში იფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების მრავალპროფილური საავადმყოფო, რომელიც პაციენტებს მაღალი ხარისხის მომსახურებას გაუწევს, — განცხადა კალანდაძემ.

**მედიანიუსი**

## შალვა ოგბაიძე: საქართველოს საავტომობილო პარკის ელექტრომობილებით შევსება ჯერ ნაადრევია

საქართველოს საავტომობილო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი შალვა ოგბაიძე მიიჩნევს, რომ საქართველოში ელექტრომობილების შესაძლო შემოყვანის საკითხს ბევრი ბუნდოვანება ახლავს. ოგბაიძემ ამ განცხადების გაკეთება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ კლიმატის გლობალური ცვლილებებისადმი მიძღვნილ კვირეულზე ნახსენები პროექტის შემდეგ გადაწყვიტა, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს საავტომობილო პარკი მალე ელექტრომობილებით შეივსება.



— არ არის ცნობილი, რა ფირმისა და ტიპის მანქანები იქნება შეძენილი, რა თანხა დაჯდება მათი შეძენა, ან საიდან გამოიყოფა ეს თანხა და როდის მოხდება პრეზიდენტის ნახსნები ინიციატივის განხორციელება. კარგი იქნება თუ ამ საკითხზე საზოგადოების ინფორმირება მოხდება,— განაცხადა ოგბაიძემ და აქვე დაამატა, რომ თუ აღნიშნული საკითხის დაგეგმვაში მთავრობის წარმომაგდენლებთან ერთად ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციებიც ჩაერთვებიან, პროგრამა უფრო ეფექტური გამოვა.

ოგბაიძე კიდევ ერთ პრობლემად მიიჩნევს იმას, რომ საქართველოს საავტომობილო პარკის ელექტრომობილებით შევსება ჯერ ნაადრევია გამომდინარე იქიდან, რომ მისი შეძენა გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე ჩვეულებრივი ავტომობილის, ამიტომ მოსახლეობის უმრავლესობა მის შეძენას ვერ შეძლებს და აღნიშნულ პროგრამაში თანხა უაზროდ დაიხარჯება.

— თუ ეკოლოგიურ პრობლემებზეა საუბარი, ეს შეიძლება სხვაგვარადაც გადაწყდეს, ხელისუფლებას შეუძლია გააიაფოს იმ მსუბუქი ავტომობილების განბაჟება, რომლებიც ნაკლებ საწვავს მოიხმარენ და ამით წაახალისოს მოსახლეობა, რადგან ეკონომია უდრის ეკოლოგიას, — აღნიშნა ოგბაიძემ.

საავტომობილო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ავტოპარკის ელექტრომობილებით შევსების ნაცვლად ჰიბრიდული ავტომობილებით შევსება უფრო რეალურია, რადგან „მომავალი 10-15 წელი ჰიბრიდული ავტომობილებისაა, ხოლო ელექტრომობილები უფრო შორი მომავლის პერსპექტივაა".

**მედიანიუსი**

# „პორტრეტი“ და „ვედრება“ საგამოფენო სივრცეებშია

ეკა ირემაშვილი

3 თებერვალს საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში ფოტორეპორტიორის ზეინაბ ბარნოვის კონცეპტუალური გამოფენა გაიხსნება. „პორტრეტი“ (პორტრეტი რეპორტაჟიდან) — ასე ეწოდება ექსპოზიციას, რომელზეც წარმოდგენილია რეპორტაჟების დროს გადაღებული ოცამდე ფოტო. პორტრეტების უმრავლესობა წარმოაჩენს კონკრეტულ დროსა და სივრცეში განვითარებულ პიროვნებასთან დაკავშირებულ მოვლენას.

დამთვალიერებელი იხილავს სხვადასხვა დროის ცნობად სახეებს: ილია II-ს, ალექსეი II-ს, ჭაბუა ამირეჯიბს, კოკა იგნატოვს, ოთარ იოსელიანს, მაია პლისეცკაის, ელისო ვირსალაძეს, ედუარდ შევარდნაძეს, რეი ჩარლზს, ტანია მარიას.

ზეინაბ ბარნოვი სხვადასხვა დროს წამყვან საინფორმაციო სააგენტოებში ფოტოკორესპონდენტად მუშაობდა. იგი წლების განმავლობაში ჟურნალ „ანაბეჭდის“ ფოტოკორესპონდენტი იყო, ასევე მოღვაწეობდა მოსკოვში. ავტორია მრავალი პერსონალური გამოფენისა და პროექტისა. მისი ფოტოები ინახება პირად კოლექციებში საქართველოში, მოსკოვში, პარიზსა და მსოფლიოს სხვა ქალაქებში.

კონცეპტუალური ფოტოგამოფენები ერთი თემის ფორმატში მოიაზრება. ზეინაბ ბარნოვის კონცეფციაც ძირითადად ადამიანის, ეპოქის, საზოგადოების ურთიერთმიმართებას ეძღვნება. გამოფენა თბილისის ისტორიის მუზეუმში 16 თებერვლამდე გაგრძელდება.

4 თებერვალს თბილისის თოჯინების მუზეუმში ეთერ ჭკადუას ახალი ნამუშევრების გამოფენა გაიხსნება. ეთერ ჭკადუა საზღვარგარეთ წარმოდგენილი უამრავი ჯგუფური ექსპოზიციის მონაწილე და 7 პერსონალური გამოფენის ავტორია, რომელიც 1990 წლიდან შედგა არაერთ ცნობილ გალერეაში, მათ შორის სტოკჰოლმში, ბრუკლინში, მაიამიში და ჩიკაგოს ორ გალერეაში. 2007 წელს სოფო ტაბატაძესა და თამარ კვესიტაძესთან ერთად ეთერ ჭკადუას ნამუშევრები წარმოდგენილი იქნა ვენეციის ბიენალეს საქართველოს პავილიონში.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში კი ირანელი ხელოვანის, ირანის სამხატვრო აკადემიის ფოტოხელოვნების ფაკულტეტის პროფესორის, ფამიდ რაზა გოუჰარის ნამუშევრების გამოფენა „ვედრება“ უკვე გაიხსნა.

ექსპოზიციაზე სხვადასხვა ქვეყნის საკულტო არქიტექტურისა და რელიგიური ტრადიციების ამსახველი ფოტომასალაა წარმოდგენილი. გამოფენა ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების მხარდაჭერით მოეწყო. ირანელი ხელოვანის ნამუშევრების გამოფენა სამხატვრო აკადემიაში 5 თებერვლამდე გაგრძელდება.

# აშშ, კანადა და ავსტრალია ეგვიპტიდან თავისი მოქალაქეების ევაკუირებას ჩარტერული რეისებით აპირებენ

აშშ, კანადა და ავსტრალია ეგვიპტეში ჩარჩენილი თავისი მოქალაქეების ევაკუირებას, ევროპის გავლით, ჩარტერული რეისებით აპირებენ.

როგორც ტელეკომპანია „სი-ენ-ენი“ იუწყება, აღნიშნული ქვეყნების შესაბამისმა სამსახურებმა შესაბამისი მითითება უკვე მიიღეს. არსებული ინფორმაციით, თვითმფრინავები ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში, სავარაუდოდ, კვიპროსში დაფრინდებიან და ამის შემდეგ მოსახლეობის სამშობლოში დააბრუნებენ.

ეგვიპტის იმ ქალაქებიდან, სადაც საპორტესტო მუხტი მაღალია, თავისი მოქალაქეების ევაკუაციის პროცესი უკვე დაიწყეს თურქეთის, ისრაელის და ტაილანდის ხელისუფლებებმაც. აზერბაიჯანმა კი, ევაკუაციის პროცესი უკვე დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტის ქალქებში საპროტესტო აქციები გრძელდება. ბოლო მონაცემებით, შეტაკებების შედეგად 150-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

**მედიანიუსი**

# თბილისში 15 ოქტომბრიდან ყვითელი ფერის სამარშრუტო ტაქსები იმოძრავებენ

თბილისში 15 ოქტომბრიდან ყვითელი ფერის სამარშრუტო ტაქსები იმოძრავებენ. შესაბამისი გადაწყვეტილება დღეს, თბილისში სამარშრუტო ტაქსებისთვის ჩატარებული ტენდერის შედეგად მიიღეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მერიაში შექმნილი სპეციალური სატენდერო კომისიის წევრმა, ტრანსპორტის პროფკავშირის ხელმძღვანელმა ლავრენტი ალანიამ განუცხადა, ტენდერში გამარჯვებულ ოთხ კომპანიასთან მერია ხელშეკრულებას ერთი თვის შემდეგ გააფორმებს. კომპანიები კი დედაქალაქში ყვითელი ფერის სამარშრუტო ტაქსებს ოქტომბრისთვის შემოიყვანენ. მათ კონდიცირების სისტემაც უნდა გააჩნდეს.

სამარშრუტო ტაქსები 2011 წლის გამოშვების „ფორდტრანზიტის“ მარკის იქნება, რაც გადამყვანი კომპანიის გამოსავლენად მერიის მიერ გამართული ტენდერის პირობებითაა გათვალისწინებული.

გადამყვანი კომპანიის გამოსავლენად მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვეს კომპანიებმა: „თბილლაინი“, „ფაბლიკ ქარი“ და „კაპიტალ გრუპი“. სულ ტენდერში გამოცხადებულ 5 ლოტზე 8 განაცხადი 7 კომპანიას ჰქონდა შეტანილი.

თბილისის მერიამ გადამყვანი კომპანიების გამოსავლენად ტენდერი 6 დეკემბერს გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებისთვის საბუთების წარსადგენად 40- დღიანი ვადა 14 იანვარს ამოიწურა.

**ინტერპრესნიუსი**


## ჩიგოგიძეთა საყურადღებოდ!

საქართველოს უძველესი და ისტორიული გვარის, ჩიგოგიძეთა კავშირს კვირას, 20 თებერვალს, 10 საათზე სამების საკათედრო ტაძარში დალოცავს საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ჩიგოგიძეებს გთხოვთ მობრძანდეთ ოჯახებით.

საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 855-14-46-10 ცირა; 899-56-44-56; 36-65-77 გრიგოლი.


# ხელისუფლება ადვოკატებს მუშაობაში ხელს უშლის

გულიკო ბალა ე

**დღეს მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში შიდა არეულობებია. მსგავსი სიტუაციები იქმნება არა მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით, არამედ სამართლიანობის, დემოკრატიის, იურიდიული საქმიანობის ხარისხით.**



ჩვენთვის არ არის ცნობილი, რამდენად აწუხებს ხელისუფლებას რიგ ქვეყნებში შექმნილი რევოლუციური სიტუაცია. თუმცა, წესით, უნდა აწუხებდეს, რადგან უცხოეთის მხარდაჭერა მუდმივი არ არის და მათაც შეიძლება შეექმნათ პრობლემები — შეიძლება, ერთ დღეს რევოლუციის წინაშე ჩვენც დავდგეთ. როგორი მდგომარეობაა კონკრეტულად იურიდიული პროფესიის ორგანიზების მხრივ საქართველოში?

ამის გასაგებად ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიამ 2010 წლის დეკემბერში საქართველოში მისია მოავლინა, რომელმაც გამოაქვეყნა კვლევის შედეგები.

მისიის ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოში ერთი ადვოკატთა ასოციაციაა და 3300 ადვოკატი მოღვაწეობს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ფლობს დამკვირვებლის სტატუსსაც, ე.ი. ქმედითი წევრების გარდა, ჰყავს „დამკვირვებელი“ წევრები, რომლებიც წარმოდგენილია დამკვირვებელთა დელეგაციებით.

ასევე არსებობს ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაცია, რომელიც განსაკუთრებით აქტიურია და ფართოდაა ცნობილი საქართველოში. მას დაახლოებით 700 წევრი ჰყავს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკანონმდებლო ლობირებაში და მთელ საქართველოში უწევენ ორგანიზებას მთელ რიგ უფასო იურიდიულ კონსულტაციებს.

ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის მისია აღნიშნავს, რომ მათი საქართველოში ყოფნის პერიოდში ადვოკატები თავიანთი პროფესიის განხორციელების პროცესში სხვადასხვა დონეზე მრავალ სიძნელეს წააწყდნენ. „ეს სიძნელეები მნიშვნელოვნად აბრკოლებს ადვოკატთა ყოველდღიურ პრაქტიკას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი კლიენტები პატიმრობაში არიან“, — აღნიშნავენ მისიის წარმომადგენლები.

— აღსანიშნავია აგრეთვე ადვოკატთა ინსტიტუციონალური მარგინალიზაცია მნიშვნელოვნად უფლებამოსილი ბრალმდებლისა და თავის დამნაშავედ ცნობის შესახებ გარიგების კვაზი-სისტემის გამოყენებასთან ერთად.

საბოლოოდ კონკრეტული ადვოკატები განიცდიან მნიშვნელოვან ზეწოლას თანამდებობის პირებისაგან, რასაც შედეგად მოაქვს სასამართლო დევნა და დაპატიმრება.

საერთაშორისო მისიის კვლევის თანახმად, რა არის ადვოკატის ყოველდღიური საქმიანობის მთავარი სირთულეები?

საერთაშორისო მისია ადვოკატის საქმიანობის ერთ-ერთ სირთულედ დაკავებულთან შეხვედრის პრობლემას აცხადებს.

— საქართველოში ადვოკატებს ციხეში შესასვლელად და კლიენტთან შესახვედრად მრავალი სირთულის გადალახვა უწევთ.

2010 წლის 22 ნოემბერს ვეწვიეთ თბილისის №8 საპყრობილეს. ეს არის თანამედროვე საპყრობილე, სადაც, როგორც ამბობენ, დაკავებულთა პირობები უკეთესია, ვიდრე სხვა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.

შესასვლელში არის ორი განცალკევებული ოთახი, ერთი — ოჯახის წევრებისთვის, ხოლო მეორე დაჯავშნულია ადვოკატებისათვის. ოთახები არ არის კეთილმოწყობილი, განსაკუთრებით, ადვოკატების ოთახი, სადაც არც მაგიდაა, არც — სკამები. ადვოკატებს შენობის შიგნით და გარეთ ფეხზე მდგომებს უწევთ ლოდინი. შესაძლოა, მათ რამდენიმე საათი ლოდინიც კი მოუხდეთ, სანამ ციხის შენობაში შესვლისა და კლიენტთან შეხვედრის ნებართვას მიიღებენ.

ბოლო სამი თვის განმავლობაში ადვოკატების პირობები, რომლებიც კლიენტის მოსანახულებლად ციხეში შედიან, კიდევ უფრო გაუარესდა. ეს განპირობებულია იმით, რომ 2010 წლის 10 ივნისის ბრძანებულების მე-4 მუხლის მიხედვით, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოველ შესვლაზე ადვოკატს შეუძლია მხოლოდ ერთ კლიენტთან შეხვედრა. თუ ადვოკატს სურს შეხვდეს მეორე კლიენტს იმავე ადგილას, იგი უნდა გამოვიდეს გარეთ და გაიაროს შესვლის იგივე ფორმალობები, რაც მას კვლავ რამდენიმე საათის განმავლობაში ლოდინს აიძულებს.

კოლეგებმა გვითხრეს, რომ ზუგდიდის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა, ადვოკატებს რამდენიმე დღე უწევთ ლოდინი კლიენტთან შესახვედრად. ძალზე მოუწესიგებელი სიტუაციაა აგრეთვე ბათუმის, რუსთავისა და კასპის ციხეებში.

მისია აღნიშნავს, რომ ციხეში შესვლის საკითხში განხორციელებულმა ამ ცვლილებამ დაცვის უფლებებში შემდგომი მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა:

— იგი მნიშვნელოვნად ზღუდავს ადვოკატის შესაძლებლობას, შეხვდეს კლიენტს და განიხილოს დაცვის სტრატეგია. ეს ფაქტი განაპირობებს ბრალდებულის უფლების დარღვევას, ჰქონდეს საჭირო დრო თავდაცვის სტრატეგიის მომზადებისთვის.

ასევე ქმნის სერიოზულ დაბრკოლებებს გასაჩივრების საკითხში. საქმე ისაა, რომ 1 ოქტომბრიდან ადვოკატი აღარ არის უფლებამოსილი შეიტანოს სარჩელი კლიენტის სახელზე. გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ ბრალდებულს, მან პირადად უნდა მოაწეროს ხელი თავისი ადვოკატის მიერ შედგენილ გასაჩივრების განცხადებას.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაცია მისცა სასჯელაღსრულების მინისტრს, უზრუნველეყო ადვოკატსა და მის დაკავებულ კლიენტს შორის ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება.

სასჯელაღსრულების მინისტრმა სახალხო დამცველს უპასუხა, რომ აღნიშნული პროცედურა დაწესდა მატერიალური და ტექნიკური მიზეზების გამო, რადგან საპატიმრო დაწესებულების ადვოკატებისთვის საკმარისი სავიზიტო ოთახები არ გააჩნიათ.

ადვოკატთა საერთაშორისო მისია კი აღნიშნავს:

— სისხლის სამართლის საქმეების სპეციალისტებმა, რომლებსაც ჩვენ შევხვდით, ეს არგუმენტი გააპროტესტეს და გვითხრეს, რომ ვიზიტორთა ოთახები სავსე არასოდეს არ არის. ამჟამად, როგორც ჩანს, სასჯელაღსრულების მინისტრი რაიმე ცვლილებებს არ გეგმავს.

შემდეგი საკითხი, რომელიც, მისიის თანახმად, საქართველოს ადვოკატებს აწუხებთ, ადვოკატსა და დაკავებულ კლიენტს შორის კონფიდენციალობის დაუცველობაა. ძირითადად იგულისხმება ციხეში განხორციელებული ინტერვიუების კონფიდენციალობის დაუცველობა.

— ადვოკატებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ საუბრებში გვაცნობეს, რომ ადვოკატისა და კლიენტის საუბრების კონფიდენციალობის დაცვა არ ხორციელდება, რაც ადვოკატის როლის ძირითადი პრინციპის დარღვევას წარმოადგენს, სადაც ნათქვამია, რომ „ყველა დაკავებულ, დაპატიმრებულ პირს უნდა ჰქონდეს ადეკვატური შესაძლებლობა, დრო და პირობები, რათა ისინი მოინახულონ, დაუკავშირდნენ და კონსულტაცია გაუწიონ ადვოკატებმა, დაყოვნების, დაბრკოლების ან ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალობის დაცვით. ამგვარი კონსულტაციები უნდა მოხდეს ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლების თვალთახედვის, მაგრამ არა მოსმენის ქვეშ“. ფაქტი ისაა, რომ დაცვა რეგულარულად შედის იმ ოთახში, სადაც ადვოკატი ესაუბრება დაკავებულ კლიენტს და ჩვეულებრივი სმენადობის ფარგლებში რჩება.

მისიის თანახმად, საქართველოში ადვოკატებისთვის კიდევ ერთი პრობლემა ადვოკატის შენიშვნისა და საქმის დოკუმენტების კონფიდენციალობის დაუცველობაა.

— სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები კითხულობენ დაცვასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, რომელსაც ადვოკატები ციხეში შესვლისას გარეთ ტოვებენ. ეს ფაქტი დადასტურდა ჩვენ მიერ ადვოკატებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საუბრისას. ციხის თანამშრომლები ხელში იგდებენ და იტოვებენ განსაზღვრულ დოკუმენტებს ადვოკატთა როლის ძირითადი პრინციპის დარღვევით.

მისიის ანგარიშში მითითებულია ერთ-ერთი ადვოკატის განცხადება, რომელიც ჩივის მისი კლიენტის ცემის ფაქტის გამო. კლიენტს მრავლობითი დაზიანებები ჰქონდა. მან თავის ადვოკატს აჩვენა დაზიანებები, რომელმაც გააკეთა ჩანაწერები. ზედამხედველი რეგულარულად ესწრებოდა საუბარს. როდესაც ვიზიტი დამთავრდა, დაცვამ სთხოვა ადვოკატს, გადაეფურცლა მის მიერ გაკეთებული ყველა ჩანაწერი ისე, რომ ციხის უფროსს შეძლებოდა მისი დანახვა. დაცვამ მიუთითა, რომ მას არ მისცემდნენ საპყრობილის თავისუფლად დატოვების ნებას მანამ, სანამ ციხის უფროსი არ ნახავდა ჩანაწერს. თავდაპირველად ადვოკატმა უარი განაცხადა, მაგრამ, დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, იგი დათანხმდა, წარმოედგინა თავის კლიენტთან დაკავშირებული რამდენიმე დოკუმენტი. დაცვამ მოსთხოვა ყველა იმ დოკუმენტის წარმოდგენა, რაც მას თან ჰქონდა. საათისა და 20 წუთის შემდეგ მან შეძლო ციხის დატოვება ჟურნალისტების დახმარებით, მაგრამ დოკუმენტები უკან აღარ დაუბრუნეს.

მისიის ანგარიშის მიხედვით, მორიგი პრობლემაა ზეწოლა დაკავებულზე, რომელთაც სურთ საჩივრის შეტანა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

— დაკავებულები, რომლებსაც სურთ საჩივარი შეიტანონ ევროსასამართლოში, აწყდებიან ძალიან ძლიერ ზეწოლას სასჯელაღსრულებითი დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან, რაც რეგულარულად გამოიხატება ფიზიკური ძალადობით. მათ ერის წინაშე მოღალატეებად აცხადებენ. სასჯელაღსრულებითი დაწესებულების თანამშრომლებისთვის კარგად არის ცნობილი ამგვარი საჩივრების შესახებ, რადგან ისინი კითხულობენ ადვოკატებისა და მათი კლიენტების დოკუმენტებს.

ამგვარი დასჯის ან დასჯის რისკის ფონზე რამდენიმე კლიენტმა უარი თქვა ევროსასამართლოში სარჩელის შეტანაზე. სასჯელაღსრულებითი დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ამგვარი ქმედებები მოიცავს ადვოკატის როლის ძირითადი პრინციპის დარღვევას.

ეს სიტუაცია მისიასთან გამართულ საუბრებში დაუდასტურეს.

— ქსნის №7 საპყრობილეში ოთხი დაკავებულის ცემის ფაქტი მათმა ადვოკატებმა შეგვატყობინეს. ამ პატიმრებს სცემეს 2010 წლის 19 აგვისტოს სასჯელაღსრულებით დეპარტამენტში, რადგან მათ კამერებში ჩატარებული ჩხრეკისას იპოვეს მათი ადვოკატების მიერ დაწერილი სტრასბურგის ევროპის სასამართლოში წარსადგენი საჩივრის ასლები. როგორც კი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების თანამშრომლებმა შეიტყვეს, რომ დაკავებულებს საჩივარი შეჰქონდათ ევროსასამართლოში, ისინი საკუთარი ქვეყნის მოღალატეებად გამოაცხადეს, რომლის წინააღმდეგაც იყო საჩივარი მიმართული.

ევროსასამართლოში საჩივრის შემტანი დაკავებულების წინააღმდეგ მიმართული ამგვარი ზეწოლა ხშირია, მაგრამ არანაირი ოფიციალური ზომები არ არის მიღებული მის აღსაკვეთად.

ადვოკატთა საერთაშორისო ორგანიზაციის მისია აღნიშნავს ასევე, რომ საპყრობილეში მკურნალობის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს ეთანხმება დაკავებულების მკურნალობის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, თუმცა მკურნალობა, რომელიც ციხეში უნდა ჩაუტარდეს პატიმარს, მეტად შეზღუდულია და რეალურ საჭიროებას არ პასუხობს.

მაგალითად, ნ.სირაძემ, რომელიც სამი თვის განმავლობაში იყო დაკავებული, მისიას განუცხადა, რომ საკანში, რომლის ფართი იყო 10 კვადრატული მეტრი, იგი იმყოფებოდა ცხრა დაკავებულთან ერთად. ავადმყოფობის დროს მათი ერთადერთი წამალი, რომელსაც იღებდნენ, შაქრიანი წყალი იყო.

ეს არის კარგად ნაცნობი სიტუაცია, რომელიც შეეხება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საქართველოში.

# დათო საყვარელიძე რუსთაველის თეატრს შეეკრა

ეკა ირემაშვილი



ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელი რეჟისორი დავით საყვარელიძე რუსთაველის თეატრს შეეკრა. იგი ამჟამად წინასაპრემიერო განამაწიაშია და ახალ ოპერას დგამს. ორმოქმედებიანი ოპერა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ნაწარმოების „მითრიდატე, პონტოს მეფის“ მიხედვით იდგმება. ახალი ოპერა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ერთობლივი პროდუქციაა.

სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანოა, დამდგმელი რეჟისორი — დავით საყვარელიძე, დამდგმელი მხატვარი — ნინა კობიაშვილი, კონცერტმაისტერი — ლელა მჭედლიძე. ახალ ოპერაში მონაწილეობენ ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი და სოლისტები — იანგ იანგი (მითრიდატე), თეონა დვალი, სალომე ჯიქია (ასპაზია), ირინე თაბორიძე, მეგი ჩიხრაძე (ქსიფარე), სოფიო ჯანელიძე, ეთერ ხალვაში (ფარნაქსე), სოფიო გორდელაძე, ანი ცარციძე, (ისმენე), ირაკლი მურჯიკნელი (მარციუსი), ნინო ჩაჩუა, ქეთევან ხომერიკი (არბატე).

პრემიერაში ასევე მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები დათო დარჩია, ნინო თარხანმოურავი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო კასრაძე და დავით უფლისაშვილი.

დავით საყვარელიძის სპექტაკლის პრემიერამდე კი 3 თებერვალს თეატრში მისულ მაყურებელს ექსპერიმენტულ სცენაზე რეჟისორი პაატა ციკოლია სპექტაკლს სახელწოდებით „ქალები, ღალატი...“ შესთავაზებს. ეს არის შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის მაგისტრანტის სპექტაკლი. სამაგისტრო ჯგუფის ხელმძღვანელი ბატონი რობერტ სტურუაა. პროექტს აფინანსებს ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“.

ერთმოქმედებიანი დრამა ლელა კოდალაშვილის პიესის მიხედვით დაიდგა. სპექტაკლის მხატვარია ნინო თათარაშვილი, კომპოზიტორი — კახაბერ ბაკურაძე, რეჟისორის თანაშემწე — მარინა ამაღლობელი. სპექტაკლში მონაწილეობენ ანა ნიკოლაშვილი, ეკა დემეტრაძე და თეკო ჩუბინიძე. ვიდეოარტზე თამარ ქოთილაძემ და გიორგი გოგიჩაიშვილმა იმუშავეს.

# სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“ იწყება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში თბილისის სტუდენტური ფილმების საერთაშორიოს ფესტივალ „ამირანის“ პრეზენტაცია შედგა. პრეზენტაციაზე მოეწყო ფესტივალის ვებგვერდისა და სხვა სიახლეების წარდგენაც.

პრეზენტაციას უძღვებოდნენ ფესტივალის ხელმძღვანელები — თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის დეკანი დათო ჯანელიძე და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი ჯაბა სიხარულიძე. ფესტივალის პრეზენტაციაზე მიწვეული იყვნენ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი მარგველაშვილი, თბილისში გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი ვერნერ ვიოლი, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი და ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ნეკა სებისკვერაძე. ჰოლანდიიდან ონალინ რეჟიმში, სკაიპის მეშვეობით, პრეზენტაციას ჩაერთო წლევანდელი ჟიურის წევრი, რეჟისორი ინეკე სმიტსი.

თბილისის საერთაშორისო სტუდენტური ფილმების ფესტივალი „ამირანი“ 1978 წელს დაარსდა კინოკავშირისა და თეატრალური ინსტიტუტის თაოსნობით, ასევე ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნებების ხელშეწყობითა და ინიციატივით, როგორებიც არიან გოდერძი ჩოხელი, ტატო კოტეტიშვილი, ნანა ჯანელიძე, ნანა ჯორჯაძე, დიტო ცინცაძე, გურამ პეტრიაშვილი, ანდრო ჭიაურელი, დათო ჯანელიძე, შაქრო ჯორჯაძე.

ფესტივალმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა არსებობის მანძილზე, რადგან იგი დაარსებისთანავე საბჭოთა კავშირის ყველაზე თავისუფალ ფესტივალად იყო მიჩნეული. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, 1990 წელს, კინოფესტივალმა შეწყვიტა ფუნქციონირება. დიდი ხნის უმოქმედობის შემდეგ, 2007 წელს, კინოფესტივალი აღდგა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ინიციატივით, რის შემდეგაც ფესტივალმა ყოველწლიური სახე მიიღო. დღესდღეობით ფესტივალში მონაწილეობას იღებს მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყანა.

ფესტივალის მიზანია მაყურებელს გააცნოს ქართველი და უცხოელი სტუდენტების ნამუშევრები. სტუდენტი რეჟისორებისათვის იგი ერთგვარი ტრამპლინია საკუთარი თავის წარმოჩენისა და დამკვიდრებისათვის. მასში მონაწილე უამრავ სტუდენტს მიეცა საშუალება, მიეღწია პროფესიული წარმატებისთვის. ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს ის ფაქტი, რომ ფესტივალის შექმნის დღიდან კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ დღეს უკვე ყველასათვის ცნობილი რეჟისორები: ალეკო ცხადაძე, ზაზა ურუშაძე, სერგეი ბოდროვი (უფროსი), იური ნალინი.

წლების განმავლობაში ფესტივალმა მასპინძლობა გაუწია მსოფლიოში ცნობილ რეჟისორებს. სხვადასხვა პერიოდში ჟიურის წევრებად მოწვეულნი იყვნენ ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე, ოთარ იოსელიანი, გოგი თუმანიშვილი, მერაბ კოკოჩაშვილი, რეზო ჩხეიძე, ინეკე სმიტი, რეზო ესაძე, მიხეილ კობახიძე, ლეონიდ გაიდაი, ნიკიტა მიხალკოვი, სერგეი სოლოვიოვი.

სტუდენტური ფილმების წლევანდელი კინოფესტივალი იუბილარია. იგი აღდგენიდან მეხუთე წელს ზეიმობს. წლევანდელ ფესტივალს მხოლოდდამხოლოდ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები უხელმძღვანელებენ. წლევანდელი ფესტივალი უმასპინძლებს მსოფლიოს წამყვანი კინოსკოლების წარმომადგენლებს გერმანიიდან, პოლონეთიდან, ჰოლანდიიდან, ისრაელიდან და შვეიცარიიდან.

თბილისის სტუდენტური ფილმების საერთაშორი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# მუცოს ციხესიმაგრე ინგრევა

ეკა ირემაშვილი

ხევსურეთში მდებარე X-XII საუკუნეების მუცოს უნიკალური არქიტექტურული კომპლექსი დანგრევის პირასაა. კლდეზე განლაგებული ნაგებობა სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს.

ამ ციხესიმაგრისა და უშუალოდ მუცოს გადასარჩენად პოეტი გელა დაიაური და მისი თანამოაზრეები მართავენ ხევსურულ საღამოებს საქართველოს ამ ულამაზესი მხარის გადასარჩენად. ხევსურულ საღამოებში წარმოდგენილი ფოლკლორი, ჩაცმულობა, ლექსები თუ წეს-ჩვეულებები ამ მხარის გადარჩენას ემსახურება.

დიდთოვლობის გამო ამ დროისათვის მუცოში აღდგენითი სამუშაოები ვერ ხორციელდება. პრობლემას ციხესიმაგრის მიუდგომლობაც ქმნის. სპეციალისტები ადგილზე სამუშაოებს ვერ ასრულებენ.

ორმოცამდე სახლი, ოთხი საბრძოლო დანიშნულების ციხე-კოშკი და რამდენიმე საცხოვრებლის ნანგრევი შუა საუკუნეებით თარიღდება. მუცო, თავისი ორიგინალური არქიტექტურით, პოპულარული ადგილია ტურისტებისა და მთამსვლელებისთვის. ამჟამად ის საქართველოს ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მყოფ ისტორიულ ძეგლთა სიაში შეტანილი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა **ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა** განაცხადა:

— იქაურობა ახლა თოვლით არის დაფარული. იქ მისვლა შეუძლებელია. ფოტოებსაც ვერ ვიღებთ, რომ ძეგლის მდგომარეობა შევისწავლოთ. გაზაფხულიდან დავიწყებთ სამუშაოებს, უკვე ადგილზე მისვლას შეძლებენ რესტავრატორებიც.

***— მთელი ციხესიმაგრის აღდგენას აპირებთ?***

— სახელმწიფოს მუცოს ხეობა პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი და მის აღსადგენად ფინანსური რესურსიც გამოყოფილია. ამ ეტაპზე ორი კოშკის აღდგენაა დაგეგმილი. სამუშაოები გაზაფხულისთვის დაიწყება. სწორედ ამ ორი კოშკით ჩაეყრება საფუძველი მუცოს ციხესიმაგრის ერთიანი გაჯანსაღების პროცესს.




...მიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ
<u>სწრაფი გადახდის აპარატები</u>

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**


# დიანა ღურწკაიას ქმარი დასაჯეს

ეკა ირემაშვილი



რუსეთში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა დიანა ღურწკაიამ თანხმობა განაცხადა, მონაწილეობა მიიღოს ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ პროექტში „ცეკვა ვარსკვლავებთან“. ეს უკვე რიგით მეექვსე პროექტია, რომელშიც მისმა ავტორებმა ამჯერად ქართველი მომღერალი დაპატიჟეს.

პროექტისთვის მზადებასა და საცეკვაო ნომრისთვის საჭირო ვარჯიშებს მომღერლის დროის დიდი ნაწილი მიაქვს. ვინაიდან დიანა უსინათლოა, მისთვის გაცილებით რთულია საცეკვაო ნომრების მომზადება, ვიდრე შოუს დანარჩენი მონაწილეებისთვის. პროექტის ავტორებმა დიანას ქმარი დასაჯეს და კატეგორიულად აკრძალეს რეპეტიციებზე არა მარტო მომღერლის ქმრის, არამედ მისი ძმის რობერტის დასწრებაც. მიუხედავად იმისა, რომ რობერტი დის პროდიუსერიც არის, პროექტის შემქმნელებმა მას მომღერალთან ახლოს გაკარების ნებაც კი არ დართეს.

დიანა ქმარსა და ძმას იმით ამშვიდებს, რომ ასე სჯობს:

— ვიცი, რომ ახლა საშინლად ნერვიულობენ, მაგრამ ნამდვილად ასე სჯობს. მათთვის დიდ სიურპრიზს ვამზადებ. ჩემს გამოსვლას რომ ნახავენ, გაოცდებიან და ჩემით იამაყებენ.

ამ პროექტში დიანა ღურწკაია უკვე მეორე ქართველია, რომელიც ცეკვას შეეცდება. გასულ წელს მასში ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილი სოფიკო შევარდნაძე მონაწილეობდა.

როგორც დიანა ღურწკაიამ რუსულ პრესას გაუნცხადა, მისთვის ასეთი შეთავაზება შოკისმომგვრელი იყო, თუმცა, არც კი დაფიქრებულა, ისე დათანხმდა შოუში მონაწილეობაზე. ღმერთი მიშველის, — თქვა ქართველმა მომღერალმა, პირჯვარი გადაიწერა და ვალსის საცეკვაოდ მოემზადა.

დიანამ უკვე დაიწყო აქტიური რეპეტიციები, თუმცა ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშისას კინაღამ გული წაუვიდა. საკმაოდ გადაიღალა დატვირთული გრაფიკით. ქართველი მომღერალის მეწყვილე ცნობილი ქორეოგრაფი სერგეი ბალაშოვია. მას უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია, რადგან მან მარტო საკუთარ მოძრაობებს უნდა მიაქციოს ყურადღება, არამედ მაქსიმალური ყურადღება უნდა დაუთმოს პარტნიორს, ვინაიდან დიანას ერთი წამითაც უყურადღებოდ დატოვება არაფრით არ შეიძლება.

— ჩემთვის ეს პროექტი ძალიან საინტერესოა და, იმავე დროს, საოცრად რთულიცაა. ასეთ გადატვირთულ გრაფიკს მიჩვეული არ ვარ. მტკივა ხელები, ფეხები, მაგრამ არაჩვეულებრივი პარტნიორი და ქორეოგრაფი მყავს. სერგეი შესანიშნავი ადამიანია, მის მხარდაჭერას ვგრძნობ და სწორედ ეს მაძლევს ძალას, ყველაფერი მაქსიმალურად კარგად და ხარისხიანად გავაკეთო. ამ პროექტის გამო ოჯახური შვებულებაც კი გადავდე — უკვე გადაწყვეტილი მქონდა ქმარ-შვილთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრება, მაგრამ ყველაფერი მოიცდის. ეს წინადადება ჩემთვის საკმაოდ მაცდური აღმოჩნდა. იმდენად მაცდური, რომ ჩემს საყვარელ ადამიანებთან განმარტოებასა და დასვენებაზეც კი უარი ვთქვი.

დიანამ არც ის დამალა, რომ მისთვის სტიმულია მისი ერთ-ერთი საყვარელი ფილმი, ლარს ფონ ტრიერის „სიბნელეში მოცეკვავე“, რომელიც სწორედ უსინათლო გოგონას ცხოვრებაზეა, თავისი პრობლემებისგან ხსნას მუსიკალურ ფანტაზიებში რომ ხედავს.

— ეს ფილმი ძალიან მიყვარს. მისი ყურების დროს გმირების დიალოგებს ვუსმენ, ჩემი ქმარი კი მიყვება ხოლმე, რა ხდება ეკრანზე, — ამბობს დიანა.


## SMS-განცხადებები – 3090

### ვამზადებ

● მათემატიკაში, ფიზიკაში, უმაღლეს მათემატიკაში — 858-99-73-58. პავლე.

### ქირავდება

● 1-ოთახიანი იზოლირებული ბინა ვაკეში, კავსაძის ქუჩაზე. 899-96-53-33.

● 3-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა გლდანის 1-ელ მ/რ-ში, I სართულზე, კარგ მდგომარეობაში, უავეჯოდ. 892-79-97-77, 899-27-25-33.

### იყიდება

● მერსედესი C კლასი შარლოტა, შავი ფერის, ლუქით, კონდიციონერით, იდეალურ მდგომარეობაში, 1997 წლის გამოშვება. 893-22-22-21.

### გთავაზობთ

● იურიდიული ფირმა გთავაზობთ გამოცდილი ადკოკატების მომსახურებას ბინაზე გამოძახებით, ნებისმიერ საქმეზე. დაგვირეკეთ ნებისმიერ დროს. 890-11-77-53, 892-79-97-77, 18-11-02.

## განცხადებები

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

# ჩვენი ჯგუფის ყველა ქვეყანა კმაყოფილებას ვერ მალავს

**ცხადია, ბოლო დღეების ყველაზე აქტუალურ თემად საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშია. წარსულში ცნობილი კალათბურთელის, სერგეიო იოვაიშა, რომელიც თავის დროზე თავისი ხელით გვამწარებდა, ახლა ტკბილი აღმოჩნდა — ჩვენი ნაკრები სწორედ იმ ჯგუფში მოხვდა, საიდანაც შემდეგ ეტაპზე გასვლა სავსებით რეალურია.**

ერთია, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის საგზურს იძლევა. მოდით აქედანვე ვთქვათ, რომ იმის ილუზიას ნუ შევქმნით, რომ ჩვენი ნაკრები იმ 6 გუნდში მოხვდება, რომელიც ლონდონში ჩავა. სამაგიეროდ, ეს ფაქტი ჩვენთვის არ არის კარგი. საქმე ის არის, რომ ყველა გუნდი, ვისაც ლონდონის ამბიცია აქვს, ლიტვაში ჩაიყვანს თავის უძლიერეს შემადგენლობას და ნბა-ში მყოფ კალათბურთელებს ულტიმატუმებს წაუყენებს.

ისიც ცხადია, რომ სადაც ქართველები ვხაროზთ სუსტი ჯგუფით, იმავე აზრისანი არიან დანარჩენი ქვეყნებიც. ექსპერტების უპირობო ფავორიტებად სლოვენია და რუსეთი მიიჩნევა. თუმცა, მოდით მივყვეთ და ყველას ნააზრევი მოვისმინოთ.

დავიწყოთ საქართველოს ნაკრებით:

კალათბურთელები უკვე მოტივირებული არიან და უნდათ გამართლება რეალობად აქციონ. რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტ დავით უსტიაშვილს, მისი აზრით, ევროპის ჩემპიონატზე სუსტი მეტოქე არ არსებობს.

— ევროპის ჩემპიონატზე სუსტი გუნდი არ არსებობს. თუმცა, ცუდი ჯგუფი არ შეგვხვდა. შეიძლებოდა, უფრო ძლიერი გუნდები მოხვედრილიყო ჩვენთან. 1-2 ადგილზე გასვლის ყველაზე კარგი შანსი სლოვენიასა და რუსეთს აქვს. დანარჩენი გუნდებიდან სამეულში მოხვედრა ყველას შეუძლია. უშუალო კონკურენტებიდან ჩვენთვის კარგად არიან ნაცნობი ბელგია, ბულგარეთი და უკრაინა. თუმცა სხვა გუნდების ჩანაწერებსაც ვნახავთ, — განაცხადა უსტიაშვილმა.

ჯგუფში უპირველეს ფავორიტად სლოვენიის ნაკრები ითვლება. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სლოვენიელები ამჟამად თაობათა ცვლას განიცდიან, ამის მიუხედავად, ყოფილი პოსტიუგოსლავიურ ქვეყანაში ეს პროცესი უმნიშვნელოდ მტკივნეულად გადადის.

— ჯერ რასაც ვხედავთ, ჯგუფში ფავორიტები ჩვენ და რუსები ვართ. დანარჩენი გუნდები მე-3 ადგილისთვის იბრძოლებენ. ალბათ, საამისოდ ჩვენთანაც არ დაზოგავენ ძალებს, — აცხადებს სლოვენიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მატიას სმოდიში.

კმაყოფილი არიან ბელგიელები, რომელთა აზრით, სლოვენია-რუსეთის გარდა ყველა გუნდს დაამარცხებენ. ბენილუქსელებმა ჩვენს ნაკრებს გასულ წელს ორივე მატჩი მოუგეს და უფრო თავდაჯერებულები არიან.

— კენჭისყრის შემდეგ ფინეთისა და საფრანგეთის ფედერაციებმა ჯგუფიდან გასვლა უკვე მომილოცეს, — აღიარა ნაკრების მენეჯერმა ჟაკ ლედურმა.

— კარგია, რომ „ა“ ჯგუფში არ მოვხვდით. დანარჩენი 3 ჯგუფი თანაბარი ძალისაა. ყველა მეტოქეს კარგად ვიცნობ და ვფიქრობ, სამეულში მოხვედრა შეგვიძლია, — ეს უკვე ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის როსენ ბარჩოვსკის სიტყვებია.

შედარებით თავშეკავებული იყო უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვიტალი ჩერნი.

— მეტოქეებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვინ ჩამოვა ნაკრებში. ერთია, უკრაინის ნაკრებისგან სიურპრიზებს უნდა ელოდოთ.

ბოლოსთვის შემოვინახეთ რუსეთის ნაკრები.

ჩვენი აზრით, რუსებს ასეთი სუსტი ნაკრები ისტორიაში არ ჰყოლია. სავარაუდოდ, ნაკრებში სამუშაოდ დარჩება დევიდ ბლატი, რომელმაც მათ უკვე მოაგებინა ევროპირველობა (2007). ჯერჯერობით, გაურკვეველია ჩამოვა თუ არა ნაკრებში სათამაშოდ მათი ლიდერი ანდრეი კირილენკო, რომელმაც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა, რის გამოც მოღალატის იარლიყიც მიაკერეს. თუმცა, დიდი შანსია, ოლიმპიადის გულისთვის მისი გადაბირება მაინც მოახერხონ. მით უფრო, რომ ჯგუფში შემნილ სიტუაციას თავადაც უკეთებს კომენტარს.

— ჩვენი ჯგუფი აშკარად სუსტია, მაგრამ რუსეთის ნაკრებს იოლი მატჩები არ ექნება. ყველა გუნდის შემადგენლობაში თითო გამორჩეული კალათბურთელი მაინც არის, რომელთაც შეუძლიათ ნებისმიერ დროს გაისროლონ, — განაცხადა კირილენკომ.

ასევე ჯგუფიდან გასვლაში დარწმუნებულია რუსეთის ნაკრების გამთამაშებელი ანტონ პანკრაშოვი.

— კენჭისყრა ჩვენთვის მართლაც იღბლიანი აღმოჩნდა. თითქმის ყველა მეტოქესთან ნათამაშები გვაქვს. ერთადერთი გამონაკლისი საქართველოა, რომელთა რიგებში რამდენიმე ნბა-ს კალათბურთელი ითამაშებს. თუმცა, ჯგუფში მთავარ კონკურენტებად სლოვენიელები რჩებიან. ყველა მატჩში ბოლომდე ვიბრძოლებთ და ჩვენი მიზანია, მეოთხედფინალში გავიდეთ. იქ რა მოხდება, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, — აცხადებს პანკრაშოვი.

მოკლედ, არ არსებობს ნაკრები, რომელთაც ამ ჯგუფში მოხვედრა არ გახარებოდა. მათ შორის არის ჩვენი ნაკრები, რომელთა დიდი იმედი აქვს გულშემატკივარს. ჩვენი კალათბურთელები პირველები არიან გუნდურ სახეობაში, რომელიც ასეთ დიდ ფორუმზე მოხვდა, რის გამოც, შესაძლოა, მსგავს ტურნირში თამაშის გამოცდილება არ ჰქონდეთ, მაგრამ გულშემატკივარს ეს არ აინტერესებს.

— იგორ კოკოშკოვის გუნდი ჯგუფიდან უნდა გავიდეს, — ასეთია მათი მოთხოვნა.

# ნოვაკ ჯოკოვიჩი: „წარმატების მოპოვებას ყველა საფარზე შევეცდები“

**სერბი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული გახდა. ფინალში ჯოკოვიჩმა საკმაოდ იოლად, 6:4;6:2;6:3 დაამარცხა ბრიტანელი ენდი მიურეი და მეორედ გახდა დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებული. აღსანიშნავია, რომ მისი პირველი წარმატებაც ავსტრალიას უკავშირდება.**

**მიურეისთან გამარჯვების შემდეგ ჯოკოვიჩმა ჟურნალისტებთან ისაუბრა.**



***— ეს თქვენი საუკეთესო მატჩი იყო, თუ შეგიძლიათ უფრო იდეალური თამაში აჩვენოთ?***

— ეს მართლაც შესანიშნავი მატჩი გამოდგა. პირველიდან ბოლო ბურთამდე მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რომ თამაშის შემდეგ მწვრთნელებთან ერთად გაგვეანალიზებია, თუ რისთვის ვემზადებოდით. ფიზიკურადაც კარგად ვიყავი მომზადებული. ნახევარფინალსა და ფინალს შორის კი ძალების აღსადგენად 2 დღე მქონდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი დონის ტურნირისთვის. ისიც კარგად ვიცოდი, რომ მატჩში ბევრი იქნებოდა ხანგრძლივი გათამაშებები, რადგან ჩემს წინ იდგა ისეთი ჩოგბურთელი, რომელიც თითქმის არ ცდება. ჩემი მთავარი მიზანი იყო კორტზე მემოძრავა და ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა. ალბათ მთავარი პირველი სეტის ბოლო გეიმი აღმოჩნდა.

***— რამდენიმე მომენტში დაუმარცხებელი სულაც არ ჩანდით. შეეძლო მეტოქეს თქვენს წინააღმდეგ რაიმე გაეკეთებია?***

— იმ მომენტებშიც ვცდილობდი კორტზე თავი კომფორტულად მეგრძნო. რამდენიმე ეპიზოდში ნათლად ვიგრძენი, რომ ნებისმიერი ბურთის აღება შემეძლო და დაცვიდან შეტევაზე გადავსულიყავი. საჭირო მომენტებში კი ძალიან კარგად ვაწოდებდი, ხოლო როდესაც მოთმინება იყო საჭირო, ვითმენდი კიდეც — ვცვლიდი ტემპს, სიჩქარეს, რადგან მიურეი ის მოთამაშეა, რომელსაც უყვარს კონტროლი კორტზე. სწორედ ამის უფლება არ უნდა მიმეცა.

***— როდესაც მატჩი მოიგეთ, ძალიან თავშეკავებული იყავით. ეს მიურეისთან მეგობრობის პატივსაცემად იყო?***

— ნამდვილად. იმ წუთში წარმოვიდგინე მისი მდგომარეობა. ეს მიურეის დიდი სლემის მესამე ფინალი იყო და აქამდე არ ემარჯვა. მატჩის შემდეგ აღვნიშნე, რომ მიურეის დიდი პატივისცემით ვეკიდები და მას აქვს შანსი მოიგოს ასეთი დონის ტურნირი.

***— თქვენ ისიც აღნიშნეთ, რომ მიღებაზე საუკეთესოა მსოფლიოში.***

— ერთ-ერთი საუკეთესო მაინც.

***— ამის მიუხედავად პირველ სეტში მეტოქეს მხოლოდ 6 ქულა დაუთმეთ. თქვენ აწოდებდით კარგად თუ მიურეი იღებდა ცუდად?***

— კარგად ვერ ვაწოდებდი, მაგრამ ვცდილობდი საჭირო ადგილზე მიმეწოდებინა. საჭირო იყო თავიდანვე აქტიურად მეთამაშა, რაც კარგად გამომივიდა.

***— დიდი სლემის პირველი გამარჯვების შემდეგ დიდი დრო გავიდა. ახლა უფრო გამოცდილ მოთამაშედ მიიჩნევთ თავს და შემდეგ ტიტულსაც ასე დიდი ხნით უნდა ველოდოთ?***

— თავს ნამდვილად უფრო გამოცდილად მივიჩნევ. ახლა უფრო კარგად ვთამაშობ, ვიდრე 3 წლის წინ. სეზონის ასე კარგად დაწყება კი ძალიან მნიშვნელოვანია.

***— განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ თქვენ მოახერხეთ როჯერ ფედერერისა და ენდი მიურეის დამარცხება.***

— ეს ჩოგბურთელები ჰარდზე საუკეთესოები არიან და მათი 3 სეტში დამარცხება წარმოუდგენელია.

***— ორივე ჩოგბურთელი ერთნაირად დაამარცხეთ. იქნებ გვითხრათ, ორივესთან თავს განსხვავებულად გრძნობდით?***

— როდესაც დიდი სლემის ტურნირში მონაწილეობ, არ აქვს მნიშვნელობა ნახევარფინალში თამაშობ, თუ ფინალში — ორივე შემთხვევაში ერთნაირად ნერვიულობ. ამისთვის მორალურადაც ვემზადებოდი, რადგან შესაძლებელი იყო 5-სეტიანი ბრძოლა დამჭირვებოდა. ისე, ორივე მათგანი მართლაც განსხვავებული იყო, მაგრამ ეს მხოლოდ მათი სათამაშო სტილიდან გამომდინარე.

***— თქვით, რომ მიურეი მოახერხებს დიდი სლემის ტურნირის მოგებას. საიდან ასეთი რწმენა?***

— ის დიდი ტალანტის მქონე და შრომისმოყვარე ჩოგბურთელია. უკვე 3-ჯერ ითამაშა ფინალში და ახლა მხოლოდ ბოლო ნაბიჯი აქვს გადასადგმელი. ეს რთული იქნება, მაგრამ მიურეი ახალგაზრდაა და დიდი სლემის ტურნირის მოსაგებად კიდევ ბევრი შანსი ექნება.

***— თუ გეგმავთ მიურეისთან ერთად წყვილთა თანრიგში თამაშს?***

— ჩვენ ამ თემაზე უკვე ვისაუბრეთ. ამ მატჩის შემდეგ კი მასთან ამ თემაზე საუბარი არ მინდა, მაგრამ ამის დროც მოვა და კიდევ ვისაუბრებთ.

***— მას შემდეგ, რაც როჯერ ფედერერი და რაფაელ ნადალი ფინალში ვერ გავიდნენ, იყო საუბარი, რომ მამაკაცთა ჩოგბურთში მათი დომინირება აღარ იქნება.***

— რაფა და როჯერი ისევ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებად რჩებიან. ამას ვერავინ უარყოფს. ჩემი და მიურეის წარმატებების მათთან შედარებაც არ შეიძლება. ისინი ნამდვილად დომინირებენ საჩოგბურთო სამყაროში, მაგრამ სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ დიდი სლემის ფინალებში ხანდახან ახალი სახეებიც ჩნდებიან.

***— ნადალისა და ფედერერის დომინირების დროს დიდი სლემის ტიტულები მხოლოდ თქვენდა ლეიტონ ჰიუიტმა მოიგეთ. სისიც 2 გამარჯვების შემდეგ შეჩერდა. თქვენგან რას უნდა ველოდოთ?***

— ნამდვილად არ მსურს მხოლოდ ამ 2 ტიტულზე გავჩერდე. მე კარგად ვთამაშობ ყველა საფარზე. მართალია, ჰარდი ჩემთვის ყველაზე საყვარელი საფარია, მაგრამ იმედი მაქვს, უომბლდონზე და როლან გაროსზეც წარმატებით ვითამაშებ.

# „ჩელსიმ“ და „ლივერპულმა“ ბოლო დღეს იხმაურეს

31 იანვარს ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა დაიკეტა და ბოლო დღეს რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერიც გაიჩარხა.

პირველ რიგში გამოსაყოფია ესპანელი თავდამსხმელის, ფერნანდო ტორესის „ლივერპულიდან“ ლონდონის „ჩელსიში“ გადასვლა. ფეხბურთელსა და ახალ კლუბს პირადი კონტრაქტის დეტალების შეთანხმება არ გასჭირვებია და „ელ ნინიომაც“ თავისი ბედი „არისტოკრატებს“ 2016 წლამდე დაუკავშირა.

— ბედნიერი ვარ იმით, რომ „ჩელსიში“ გადმოსვლის საშუალება მომეცა. დიდი სურვილი მაქვს ჩემს ახალ კლუბს და თანაგუნდელებს დახმარება გავუწიო. ინგლისში დიდი ხანია ვთამაშობ და მათ წინააღმდეგ მითამაშია კიდეც, რომლებიც არასდროს დამავიწყდება. ახლა უკვე მათ მხარდამხარ ვითამაშებ. ვიცი, რომ გუნდში ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელია და ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად ბევრი შრომა დამჭირდება. თუმცა, ვფიქრობ, არაერთი გოლის გატანას და გულშემატკივართა გახარებას მოვახერხებ, — აცხადებს ტორესი.

შეგახსენებთ, რომ ტორესს პრემიერლიგაში „ჩელსის“ წინააღმდეგ 4 მატჩი აქვს ნათამაშები და 5 გოლი გაუტანია. „ელ ნინომ“ ლონდონელთა კარი 2-ჯერ ჩემპიონთა ლიგაშიც დალაშქრა.

გეტყვით იმასაც, რომ ტორესის გადაბირება „ჩელსის“ 50 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა.

ამ სოლიდური თანხის გადახდით შეშფოთებულია უეფა. საქმე ის არის, რომ რამდენიმე დღის წინ თავად „ჩელსი“ გამოვიდა ინიციატივით, რომლის მიხედვით ლონდონელები ტრანსფერებზე დახარჯული კოლოსალური თანხების შემცირებას ითხოვდნენ. ამის მიუხედავად, ორიოდ დღეში თავად განახორციელეს ხმაურიანი ტრანსფერი. სწორედ ეს ფაქტი იწვევს უეფას მაღალჩინოსნებში გაუგებრობას.

არადა, „ჩელსი“ მარტო ტორესს არ დასჯერდა და 35 მილიონ ევროდ პორტუგალიური „ბენფიკას“ ბრაზილიელი მცველი დავიდ ლუისი შეიძინა.

ბოლო ერთი თვის მანძილზე ამ ტრანსფერის შესახებ უამრავი ხმა გავრცელდა, მაგრამ პორტუგალიელები დიდხანს იდგნენ ჯიუტად და ფეხბურთელის გასხვისებას არ აპირებდნენ. თუმცა, ბოლოს მაინც გატყდნენ — 25 მილიონი ევრო და 10 მილიონ ევროდ შეფასებული ნემანია მატიჩი მართლაც რომ მაცდუნებელი წინადადება იყო.

ლუისი გასული წლიდან სისტემატურად ხვდება ბრაზილიის ნაკრებში და 23 წლის ფეხბურთელს 2010 წელს 4 მატჩი მოუგროვდა „სელესაოს“ რიგებში.

ტორესის გასხვისების შემდეგ „ლივერპული“ ძლიერი შემტევის გარეშე დარჩა, მაგრამ ეს დანაკლისი მალევე აინაზღაურა. მერსისაიდულმა კლუბმა ჰოლანდიური „აიაქსიდან“ ურუგვაიელი ფორვარდი ლუის სუარესი 35 მილიონ ევროდ გადაიბირა.

სუარესი „ლივერპულში“ 5,5 წელი ითამაშებს და მთავარი მწვრთნელის კენი დალგლიშის მსგავსად 7-ნომრიან მაისურს მოირგებს.

სუარესი „აქაიქსში“ 2007 წლიდან თამაშობს, მაგრამ განსაკუთრებით შედეგიანი გასული სეზონი გამოუვიდა, როდესაც 48 მატჩში 49 ბურთი გაიტანა, ხოლო ურუგვაის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშა და თავისიანებს მე-4 ადგილზე გასვლაში დაეხმარა.

ლივერპულელთა კიდევ ერთი შენაძენი ენდრიუ კეროლია. ნიუკასლელი ფეხბურთელი ყველაზე ძვირადღირებული ინგლისელი ფეხბურთელი გახდა — „ლივერპულს“ მისი შეძენა 35 მილიონი გირვანქა დაუჯდა.

აქამდე ბრიტანული ფეხბურთის რეკორდი რიო ფერდინანდს ეკუთვნოდა, რომელიც „ლიდსიდან“ „მანჩესტერში“ 29 მილიონ გირვანქად გადავიდა.

22 წლის კეროლით უკვე ინგლისის ნაკრების თავკაცი ფაბიო კაპელოც დაინტერესდა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

### ფეხბურთი

**იტალია. სერია ბ**

ფროსინონე-ატალანტა ........ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რასინგი-ვალენსია ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 20 | 18 | 1 | 1 | 63-11 | 55 |
| 2.რეალი | 20 | 15 | 3 | 2 | 44-16 | 48 |
| 3.ვილიარ. | 20 | 14 | 3 | 3 | 39-17 | 45 |
| 4.ვალენსია | 20 | 11 | 5 | 4 | 33-24 | 38 |
| 5.ბილბაო | 20 | 11 | 1 | 8 | 33-30 | 34 |
| 6.ესპანიოლი | 20 | 11 | 1 | 8 | 24-27 | 34 |
| 7.ატლეტიკო | 20 | 9 | 3 | 8 | 30-21 | 30 |
| 8.სოსიედ. | 20 | 9 | 1 | 10 | 30-30 | 28 |
| 9.სევილია | 20 | 8 | 3 | 9 | 30-33 | 27 |
| 10.ხეტაფე | 20 | 8 | 2 | 10 | 29-34 | 26 |
| 11.მალიორკა | 20 | 8 | 3 | 9 | 19-28 | 24 |
| 12.დეპორტ. | 20 | 5 | 7 | 8 | 18-26 | 22 |
| 13.სარაგოსა | 20 | 5 | 7 | 8 | 20-29 | 22 |
| 14.ხიხონი | 20 | 5 | 6 | 9 | 20-26 | 21 |
| 15.ოსასუნა | 20 | 5 | 5 | 10 | 20-28 | 20 |
| 16.რასინგი | 20 | 5 | 5 | 10 | 15-29 | 20 |
| 17.ერკულესი | 20 | 5 | 4 | 11 | 18-33 | 19 |
| 18.ლევანტე | 20 | 5 | 3 | 12 | 22-33 | 18 |
| 19.ალმერია | 20 | 3 | 8 | 9 | 19-32 | 17 |
| 20.მალაგა | 20 | 5 | 1 | 14 | 27-46 | 16 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ბოხუმი ........ 0:1

**საფრანგეთი. II ლიგა**

ლე ავრი-შატორუ ........ 1:0

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

ალმერე-სპარტა ........ 3:1
აპელდორნი-ჰელმონდი ........ 1:4
იგლზი-ვეენდამი ........ 0:0
დენ ბოსხი-სიტარდი ........ გადაიდო
მაასტრიხტი-ემენი ........ 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ერჩიესი-ქონია ........ 1:0

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ინდიანა-ტორონტო ........ 104:93
ნიუ ჯერსი-დენვერი ........ 115:99
მაიამი-კლივლენდი ........ 117:90
მემფისი-ორლანდო ........ 100:97
დალასი-ვაშინგტონი ........ 102:92
იუტა-შარლოტი ........ 83:78
კლიპერსი-მილუოკი ........ 105:98

### ჰოკეი

**ნჰლ. ყველა ვარსკვლავის მატჩი**

აღმოსავლეთი-დასავლეთი ........ 11:8

# ოთარ იოსელიანი: „მაყურებლის ცუდ გემოვნებას მკაცრი ცენზურა სჯობია“



**ინტერვიუს ქართველ კინორეჟისორ ოთარ იოსელიანთან რუსული გამოცემა „ნოვიე იზვესტიე“ აქვეყნებს. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ თავისივე წინასიტყვაობით.**

**ქართველ-ფრანგი რეჟისორი ოთარ იოსელიანი ამ დღეებში ჩამოვიდა მოსკოვში, რათა თავისი ახალი ნამუშევარი „შანტრაპა“ შემფასებლების ვიწრო წრისთვის ეჩვენებინა. გასული წლის მაისში ფილმი კანის ფესტივალის არასაკონკურსო ჩვენებაში მონაწილეობდა, შემოდგომაზე ფრანგულ გაქირავებაში იყო, ხოლო რუსულზე ჯერ გადათარგმნილიც კი არ არის (მოსკოვში სუბტიტრებით აჩვენებდნენ).**

**იოსელიანის ამჟამინდელმა ვიზიტმა მოსკოვში აჩვენა, რომ კინოშიც და ცხოვრებაშიც რეჟისორი აგრძელებს ნებისმიერ სისტემასთან ბრძოლას, იქნება ეს საბჭოური თუ დასავლური სისტემა, რომელიც ფეხქვეშ თელავს ხელოვანის უფლებას, იყოს ბოლომდე თავისუფალი. მორიგი კინოჩვენების შემდეგ ოთარ იოსელიანმა „ნოვიე იზვესტიის“ კორესპონდენტის კითხვებს უპასუხა.**

გერა მამულაშვილი

***— ბატონო ოთარ, თქვენი ფილმის გმირი, ახალგაზრდა რეჟისორი, საბჭოთა საქართველოდან საფრანგეთში, პარიზში მიემგზავრება. გამოდის, რომ საკუთარ თავსა და ბედზე იღებდით ფილმს?***

— ფილმში ჩემი გმირი თავისთან ქალთევზას მიჰყავს. მე კი ქალთევზებთან არ მოვხვდი, ვაგრძელებ მუშაობას. ამიტომ ეს არ არის ავტობიოგრაფიული ისტორია. უფრო ჩემი ყველა კოლეგის კოლექტიური პორტრეტია, რომლებიც ძალიან ბევრს იტანჯებოდნენ.

***— საბჭოთა კავშირში თქვენ, ისევე, როგორც თქვენი გმირი, იტანჯებოდით იდეოლოგიისა და ჩინოვნიკებისგან, ხოლო საფრანგეთში — პროდიუსერებისგან. ერთიც და მეორეც თქვენ არ გიყვართ იმის გამო, რომ შემოქმედებით პროცესში ერევიან. მაგრამ თუკი ორი ბოროტებიდან უფრო ნაკლებს ავარჩევთ?***

— პრინციპში, უკეთესია გქონდეს მკაცრი ცენზურა, ვიდრე მაყურებლის ცუდი გემოვნება, რომელიც დღეს პროდიუსერების მისწრაფებებს განსაზღვრავს. თუ საბჭოთა კავშირში პუბლიკის გემოვნებას სრულ თავისუფლებას მისცემდნენ, მაშინ არ იქნებოდნენ ისეთი მხატვრები, როგორიცაა დოვჟენკო. სამწუხაროდ, დღეს საფრანგეთში მთავარ ცენზორს პუბლიკა, მაყურებელი წარმოადგენს. იგი ყველაზე მკაცრი და უცერემონიო მაყურებელია.

იგივე ისტორიაა რუსეთშიც. ადამიანები, რომლებისთვისაც ჩვენ ვაკეთებთ კინოს, რეალურად კინოთეატრებში არ დადიან. ზუსტად ასევეა კონცერტებზეც. იქ არაჩვეულებრივად გამოწყობილი ქალბატონები დადიან. იქ შეგიძლია გაიბრწყინო, თუმცა სიმღერისთვის მოსმენა არავის შეუძლია. მაგრამ კონცერტებზე ამისთვის მაინც დადიან, ხოლო კინოში ამასაც არ აკეთებენ.

სხვათა შორის, კამერული მუსიკის კონცერტის ორგანიზება არც ისე ძვირი ჯდება, ხოლო კინოს გადაღება ძალიან ძვირი სიამოვნებაა. არ ვიცი, შესაძლოა, ოდესღაც კინოს გადაღება იაფიც გახდეს.

***— როგორ უნდა იმუშაონ დღეს ახალგაზრდა რეჟისორებმა?***

— მათთვის მუშაობა შეუძლებელია. მათ ფულს არავინ მისცემს და, უკეთესი იქნება, თუ ისინი კინოდან გაიქცევიან. თუ ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანს მხრებზე თავი ადგას და გულიც თავის ადგილზეა, დღეს ის კინოთი არ დაკავდება.

***— თქვენ ახსენეთ დოვჟენკო, როგორც დიდი მხატვარი, მაგრამ ფილმის ჩვენების შემდეგ მაყურებელთან ურთიერთობისას გვერდი აუარეთ სხვა თქვენს კოლეგებს, რომლებსაც დიდ ოსტატებად მოიხსენიებენ. თავიანთი მიიღეს სოკუროვმაც და კონჩალოვსკიმაც...***

— როგორია, კინო გადაიღო იაპონიის იმპერატორზე, როდესაც საერთოდ არ ხარ ნამყოფი იაპონიაში, ანდა კინო გადაიღო ჰიტლერის ინტიმურ ცხოვრებაზე? ადამიანებმა სახელი კარგი საქმეებით არ გაითქვეს, მაგრამ მათი შეცნობა არავის შეუძლია; განცდა იმისა, რაც მათ რეალურად განიცადეს და გაიაზრეს. ჩემი მეგობარი, ელემ კლიმოვი, შეეცადა, ნიკოლოზ მეორე გამოესახა ფილმ „აგონიაში“; მაგრამ იმ დროს, რომელზეც ის იღებდა, რუსეთში იყო „ჭუჭყიანი“ მემამულეობა, რომელმაც ქვეყნის დაცვა ვერ შეძლო.

გახსოვთ კინოსურათი ასია კლიაჩინზე? შესანიშნავი ფილმი იყო. მაგრამ ამის შემდეგ ავტორმა (ანდრეი კონჩალოვსკიმ) გადაწყვიტა, რომ ასეთი კინოს კეთება მომგებიანი არ არის. დიდად სამწუხაროა, ტალანტით აღსავსე იყო ეს ახალგაზრდა ადამიანი.

***— ასეთ მკვეთრ კრიტიკაზე თქვენი კოლეგები არ გინაწყენდებიან?***

— თუ მართალი ვარ, მაშინ არ მინაწყენდებიან.

# მთამსვლელი 300 მეტრის სიმაღლიდან ვარდნას ცოცხალი გადაურჩა



შოტლანდიის ქალაქ გლაზგოს მკვიდრი ალპინისტი დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთ კლდეზე ასვლის დროს 305 მეტრი სიმაღლიდან მოწყდა, მაგრამ ვარდნის დროს კლდის შვერილებს ებღაუჭებოდა, რამაც მას სიცოცხლეს შეუნარჩუნა.

მაშველები 36 წლის ადამ პოტერის ცხედრის მოსაძებნად წავიდნენ, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, რუკის შესწავლით დაკავებული პოტერი საღ-სალამათი ნახეს კლდის ძირას. იგი სამხედრო-საზღვაო ძალების ვერტმფრენით კლინიკაში გადაიყვანეს. ვერტმფრენი მახლობლად საწვრთნელ ფრენას ახორციელებდა და შემთხვევის ადგილას ალპინისტის ჩამოვარდნიდან 30 წუთის შემდეგ მივიდა.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების შედეგად ექიმებმა დაადგინეს, რომ პოტერი კლდიდან ვარდნას მცირეოდენი დაჟეჟილობით, მკერდისა და ხერხემლის უმნიშვნელო დაზიანებით გადაურჩა.

24 ალპინისტისაგან შემდგარი ჯგუფის შემადგენლობაში იგი სამ მეგობართან ერთად სგურ ჩოინიჩ მორის მთაზე ადიოდა. ამ მთის სიმარლე 1094 მეტრია, იგი დიდი ბრიტანეთის ყველაზე მაღალი მთიდან, ბენ ნევისიდან 9 კმ-ის მოშორებით, აღმოსავლეთით მდებარეობს.

ასვლისას პოტერი მოწყდა და ციცაბო, აღმოსავლეთ ფერდობზე დაგორდა.

ვერტმფრენის პილოტის, ლეიტენანტ ტიმ ბარკერის თქმით, მათ ვერ დაეჯერებინათ, როდესაც ციცაბო ფერდობის ძირას ცოცხალი ადამიანი დაინახეს, რადგან იგი ფეხზე იდგა და რუკას აკვირდებოდა. პილოტი ზემოთ აფრინდა და ფერდობი შეამოწმა, სურდა დარწმუნებულიყო, ჩამოვარდნილი ალპინისტი სადმე ციცაბოზე ხომ არ შერჩა, მაგრამ პოტერის გარდა ერავინ ნახა.

თავად ადამ პოტერის თქმით, ვარდნისას იგი სიჩქარის შენელებას ცდილობდა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი გამოდგა. როგორც კი ოდნავ აჩერებდა ვარდნას, მაშინვე მორიგი ფრიალოდან წყდებოდა.

„ვერ ვიტყვი, რომ მთელმა ცხოვრებამ თვალწინ ჩამიქროლა, ასეთი არაფერი მომხდარა, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორმე ვარდნა შემენელებინა. — განაცხადა მან.

მთის ძირში დაცემის შემდეგ პოტერს შოკისაგან გადაავიწყდა, თუ სად იმყოფებოდა, ამიტომ რუკაზე ადგილმდებარეობის დადგენა სცადა.

შეკითხვის პასუხად, აპირებს თუ არა მთებში დაბრუნებას, ადამ პოტერმა განაცხადა, რომ იმედი აქვს სწრაფად დაბრუნდება უკან, რადგან მომავალი კვირის ბოლოს მირიგი ასვლა აქვს დაგეგმილი და იმედი აქვს, ერთ კვირაში გამოჯანმრთელდება.

პოტერის თქმით, მთაზე ასვლისას მას ფეხი მოუცურდა, ფეხი კი საკუთარი სახლის კართანაც შეილება მოუცურდეს ადამიანს.

# სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“ იწყება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

სო ფესტივალი „ამირანი“ 17-21 მაისს გაიმართება. მისი ჩატარების ძირითადი სივრცე თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი იქნება, 19 მაისს კი ფესტივალს გოეთეს ინსტიტუტი უმასპინძლებს.

წელს ფესტივალზე ფილმის წარდგენა შესაძლებელია პირველი თებერვლიდან 18 მარტის ჩათვლით. სააპლიკაციო ფორმა უკვე ატვირთულია ფესტივალის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. წლევანდელი ფესტივალი განახლებული სახით წარდგება საზოგადოების წინაშე. ახალი ლოგო და ანიმაცია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელი ანიმატორების თეა ვაწაძისა და ნიკოლოზ გელაშვილის შემოქმედებაა. წლევანდელი ფესტივალის ჟიურის წევრები იქნებიან ბოგდან ძივორსკი (პოლონეთი), ინეკე სმიტსი (ნიდერლანდები), დოვერ ქოსაშვილი (ისრაელი), ანდრეა ვინკი (გერმანია) და ირა კუჭუხიძე (საქართველო). ტრადიცია არც წელს დაირღვევა და ჟიურის ყველა წევრი უსასყიდლოდ ჩაატარებს მასტერკლასს ან პრეზენტაციას სტუდენტებისათვის. გაიმართება შვეიცარიის, პოლონეთის, თელ ავივის, ჰოლანდიისა და გერმანიის კინოსკოლების პრეზენტაციები, რომლებსაც თავად კინოსკოლების წარმომადგენლები ჩაატარებენ.

ფესტივალს ესტუმრება ჟენევის ხელოვნებისა და დიზაინის აკადემიის კინოფაკულტეტის ხელმძღვანელი ჟან პერრე. იგი გამართავს ჟან ჟაკ რუსოსადმი მიძღვნილ საერთაშორისო პროექტის პრეზენტაციას, რომელშიც მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებს.

ფესტივალზე იქნებიან წარმომადგენლები სომხეთიდან ნუნე მანუკიანი („როლან ბიკოვ ფაუნდეიშენი“) და აზერბაიჯანიდან ფეჰრუზ შამიევი (ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების ცენტრი „სინემა“).

სტუდენტური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე კიდევ ერთი ცვლილებაა — 2011 წლიდან „ამირანით“ ოთხი ფილმი დაჯილდოვდება: საუკეთესო მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ან ექსპერიმენტული ფილმები. ცალკე გაიცემა ჟიურის პრიზიც. ამ ოთხი ნომინაციის გარდა, სპეციალური დიპლომებით აღინიშნებიან სტუდენტები იმ სპეციალობების მიხედვით, რომლებსაც ეუფლებიან მსოფლიოს ყველა კინოსკოლაში. კინოფესტივალში მონაწილეობის მსურველთათვის მთავარი მოთხოვნებია ის, რომ ფილმი არ უნდა იყოს წინა წლებში გამართული კინოფესტივალის „ამირანის“ მონაწილე, მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს და ფილმი უნდა იყოს ინგლისური სუბტიტრებით.

ფესტივალი უმასპინძლებს სტუდენტებს როგორც რეგიონებიდან (სომხეთი, აზერბაიჯანი), ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. პირველად ფესტივალის არსებობის მანძილზე შედგება სტუდენტური ურთიერთთანამშრომლობა. შეიქმნება რამდენიმე შერეული ჯგუფი, რომელიც „ვან შათ მოვის“ პრინციპით გადაიღებს საერთო ფილმებს. შემდგომში შესაძლებელი იქნება „ამირანის“ სახელით ამ ფილმების სხვა ფესტივალებში მონაწილეობაც. კინოფესტივალის ფარგლებში იგეგმება პროექტები „პიჩ დოკ“ და „ამირანი შორტს“, რომლის განხორციელებაც საკმაოდ დიდ ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს.

**დათო ჯანელიძე, რეჟისორი:**

— მსგავსი კინოფესტივალების არსებობა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც თავიანთ მომავალს ქართულ კინოში ხედავაენ, ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა სტუდენტები თავად აკეთებენ ყველაფერს — ფესტივალის ხელმძღვანელობით დაწყებული, მისი ვებ-გვერდის დამზადებითა და ფესტივალის ლოგოს შექმნით დამთავრებული. სწორედ ეს არის მათთვის საინტერესო. ამით ფესტივალი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

***— როგორია წინასაფესტივალო მოლოდინი?***

— რა თქმა უნდა, ველოდები საინტერესო ნამუშევრებს. როცა ადამიანი თავის საქმეში დამწყებია, ყოველთვის ცდილობს, ადგილი ღირსეულად დაიმკვიდროს. ამ ფესტივალს არაერთი შესანიშნავი სტუდენტური ნამუშევარი ახსოვს, ამიტომ გამონაკლისი ალბათ არც წელს იქნება. დარწმუნებული ვარ, სტუდენტები წლევანდელ კინოფესტივალზე საკუთარი ნამუშევრებიდან საუკეთესოებს წარმოადგენენ.

**ვერნერ ვოილი, გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი:**

— ქართული კინო არაჩვეულებრივია. ჩვენ ამ სტუდენტურ კინოფესტივალს წელსაც ვუმასპინძლებთ. გოეთეს ინსტიტუტი ყოველთვის მოხარულია, მსგავსი ღონისძიებების თანამონაწილე იყოს. ქართულ კინოს აქვს შანსი, გახდეს წარმატებული, თქვენმა სტუდენტებმა ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოიყენონ. ფესტივალი „ამირანი“ უნიკალური შესაძლებლობაა იმისათვის, რომ დამწყებმა რეჟისორებმა ოცნებები აიხდინონ და საკუთარი ჩანაფიქრი რეალობად აქციონ.

## საქართველოში ძებნილი რუსეთში დააკავეს

რუსეთის ფედერაციაში, ტულის ოლქში დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში ადამიანის გატაცებაში ედება ბრალი.

რუსული მედიის ინფორმაციით, დაკავებული ქართულ მხარეს რუსეთში ემალებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, იგი რუსეთში ყალბი პასპორტით ცხოვრობდა.

რუსული მედიის მტკიცებით, დაკავებულის საქართველოში ექსტრადირება უახლოეს მომავალში მოხდება.

მედიანიუსი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ოპერა „დაისის პერსონაჟი; 2. მეომრის ჯაჭვის პროექტი; 3. ზუსტი ხელსაწყოების დასამზადებლად გამოყენებული რკინისა და ნიკელის შენადნობი; 4. დაბა სიღნაღის რაიონში; 5. მსხვილი საკარმიდამო მამული არგენტინაში; 7. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 11. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 15. კუნთების სავარჯიშო, ხელის სატანვარჯიშო იარაღი; 16. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 17. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 20. მდინარე გურიაში; 22. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა.

**თარაზულად:** 6. ქართული სამშენებლო კომპანია; 8. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 9. წინასწარ დამუშავებული გეგმა; 10. საგზაო მშენებლობაში გამოყენებული ფისი; 12. ცხენის ერთგვარი სვლა; 13. ფულის ერთეული ჩინეთში; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 19. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 21. შვედი გამომგონებელი, მრეწველი, საერთაშორისო პრემიის დამფუძნებელი; 23. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 24. ქართული სადაზღვევო კომპანია; 25. ნახევარკუნძული ჩრდილო ამერიკაში; 26. უძველესი უნივერსიტეტი აშშ-ში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბანკნოტი; 2. ნირვანა; 3. სმოგი; 4. ქუვეითი; 5. ვივიენი; 10. ჩინეჩიტა; 11. მუჯურეთული; 12. აზბესტი; 15. კაბალიერო; 16. „ჰაიატი“; 17. რევანში; 20. დუომო.

**თარაზულად:** 6. კარდიოგრამა; 7. კუბრიკი; 8. ბაიყუში; 9. ვოლანი; 13. ბიტი; 14. კუვეზი; 18. ლელობურთი; 19. „პეპსი“; 21. გურია; 22. სინუსი; 23. აინშტაინი; 24. ტრომბონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ედისონი; 2. ბუშლატი; 3. ქიზიყი; 4. პატიო; 5. დიფუზორი; 7. ექო; 11. ზარზმა; 15. ერუპცია; 16. ღალატი; 17. ბარჯი; 18. მრუმე; 20. ტიარა; 22. ხიდი.

**თარაზულად:** 6. დისნეი; 8. ლუტეცია; 9. „პეტროფი“; 10. სარკოზი; 12. ჯაყვა; 13. ოპიზა; 14. აპერკოტი; 19. ბიუჯეტი; 21. ნავახა; 23. რიალი; 24. უჯრედი; 25. „მიტარბი“; 26. რეპტილია.

# გენპროკურატურამ იულია ტიმოშენკო ბრიუსელში არ გაუშვა




უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ ოპოზიციის ლიდერ იულია ტიმოშენკოს ბრიუსელში, საერთაშორისო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შესახვედრად გამგზავრების ნებართვის თხოვნას კვლავ უარით უპასუხა. პროკურატურის ოფიციალურ განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ტიმოშენკო ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით არის გათავისუფლებული და ბელგიის დედაქალაქში რამდენიმე ფორუმში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია.

პროკურატურის თქმით, სამართალდამცავ ორგანოებს სწორედ ამ ღონისძიებების დროს აქვთ დაგეგმილი საგამოძიებო ქმედებები. იულია ტიმოშენკომ ქვეყნის უზენაესი საგამოძიებო ორგანოებისაგან უარი მეორედ მიიღო. ერთი კვირის წინ გენპროკურატურამ არ დააკმაყოფილა ორგანიზაცია „ბატკივშჩინას" ლიდერის თხოვნა ბრიუსელში გაფრენის ნებართვის შესახებ იმ მოტივით, რომ ევროკავშირის წარმომადგენლების მიერ მისთვის გამოგზავნილ მისაწვევს უკრაინულ ენაზე ზუსტი თარგმანი არ ახლდა თან.

ტიმოშენკოს წარმომადგენლებმა გენპროკურატურის გადაწყვეტილებებზე რეაგირება დაუყოვნებლივ მოახდინეს. უზენაესი რადას დეპუტატმა, იულია ტიმოშენკოს ბლოკისა და „ბატკივშჩინას" წევრმა ანდრეი შკილმა განაცხადა, რომ ამ ქმედებას ოპოზიციაზე ზეწოლის მორიგ მცდელობად მიიჩნევს.

მისი თქმით, გენპროკურატურის განცხადებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ საიდან გაჩნდა ინფორმაცია ტიმოშენკოს შესაძლო გაქცევის შესახებ.

გარდა ამისა, იულია ტიმოშენკოს ბლოკის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ტიმოშენკოს გადაადგილების შეზღუდვა უკრაინის იმიჯზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს.

ცოტა ხნის წინ ევროპარლამენტის ხელმძღვანელმა, რომელმაც პირადად მიიწვია ტიმოშენკო საპარლამენტო სესიაზე, იმ ვითარებასთან დაკავშირებით, რომელშიც „ბატკივშჩინას" ლიდერი აღმოჩნდა, გაოცება გამოხატა.

ბრიუსელში მიაჩნიათ, რომ უკრაინის პროკურატურისათვის ევროკავშირის გარანტიები საკმარისი უნდა ყოფილიყო.

ამჟამად იულია ტიმოშენკოს ორი ბრალდება აქვს წაყენებული, კიოტოს პროტოკოლის ფარგლებში უკრაინისათვის გამოყოფილი სახსრების არამიზნობრივად გამოყენებისა და სამედიცინო ავტომობილების პარტიის შეძენისას სამსახურებრივი უფლებამოსილებების გადაჭარბების ბრალდებები. ეს მანქანები მოგვიანებით სტანდარტებისათვის შეუსაბამოდ მიიჩნიეს.

გარდა ამისა, უკრაინის გენპროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გამოძიების მთავარი სამმართველოს უფროსი ალექსანდრ კალიფიცკი პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ახალი საქმეების აღძვრის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

იულია ტიმოშენკო წაყენებულ ბრალდებებს კვლავინდებურად უარყოფს და მათ ხელისუფლების მიერ დაგეგმილს უწოდებს.

# კაიროს ქუჩებში მილიონი ადამიანი გამოვიდა




**კაიროს ცენტრში, ტაჰრირის მოედანზე, სამშაბათს მილიონამდე ადამიანმა მოიყარა თავი.**

**ეგვიპტის ოპოზიცია ეგვიპტელი ხალხისადმი მიმართვას ამზადებს. ოპოზიციის ვარაუდით, მეორე კვირის განმავლობაში მიმდინარე გამოსვლებმა შედეგად ქვეყნის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის გადადგომა უნდა გამოიწვიოს.**

ოპოზიციური ძალების შტაბის წარმომადგენელმა მუათაზ სალაჰიდინმა „ალ ჯაზირას" პირდაპირ ეთერში გამოსვლის დროს ცვლილებების მხარდამჭერი ეროვნული კოალიციის შექმნის შესახებ განაცხადა. მისი თქმით, ეს კოალიცია მზად არის, მუბარაქის რეჟიმის დამხობის შემდეგ ქვეყანას სათავეში ჩაუდგეს.

კოალიციის შემადგენლობაში შევიდნენ ქვეყნის ყველაზე ძველი პარტია „ვაფდი", ცვლილებების ეროვნული გაერთიანება, დემოკრატიული ფრონტი, დემოკრატიული მოძრაობა „კიფაია" და „ძმები მუსლიმანები".

ახალი ორგანიზაციის მიზნად გამოცხადებულია ახალი კონსტიტუციის მიღება და ეროვნული მთავრობის შექმნა.

გარდა ამისა, ტაჰრირის მოედანზე სახალხო კომიტეტების ხელმძღვანელებმა ხმამაღლამოლაპარაკეებით ჰოსნი მუბარაქის მიერ ძალაუფლებაზე უარის თქმის განცხადება გაავრცელეს.

ჯერჯერობით ეს ცნობები ოფიციალურად არ დადასტურებულა.

იმავდროულად, ეგვიპტის სამხედრო პოლიციამ კაიროს მახლობლად პრეზიდენტ მუბარაქის რეზიდენციას ეკლიანი მავთულხლართები შემოავლო მასში პროტესტის მონაწილეების შეღწევის აღკვეთის მიზნით.

გავრცელებული ცნობების თანახმად, გაეროს ატომური ენერგიის სააგენტოს ყოფილმა ხელმძღვანელმა, ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა მოჰამედ ალ ბარადეიმ, რომელსაც ოპოზიციამ ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნის მოლაპარაკებების წარმოება ანდო, სამშაბათს ჰოსნი მუბარაქს მიმართა და ქვეყანაში სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით ნებაყოფლობით გადადგომისაკენ მოუწოდა.

ელ ბარადეის თქმით, ხელისუფლების სათავეში ჰოსნი მუბარაქის დარჩენამდე მთავრობასთან რაიმე მოლაპარაკებებს აზრი არ აქვს.

როგორც ბარადეიმ აღნიშნა, მუბარაქმა პარასკევამდე, 4 თებერვლამდე, უფლებამოსილებაზე უარის თქმის შესახებ უნდა განაცხადოს და ქვეყანა დატოვოს.

არაოფიციალური მონაცემების თანახმად, ეგვიპტეში არეულობის შედეგად 300-მდე ადამიანი დაიღუპა, სამი ათასამდე დაშავდა. ასობით დემონსტრანტი ხელისუფლებმა დააკავეს.

ამასთან, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უზენაესი კომისრის, ნავანეტ პილეისა და მისი პრესმდივნის, რუპერტ კოლვილის თქმით, ეს ინფორმაცია 100%-ით დადასტურებულად არ ჩაითვლება.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში გაეროს მთავარმა წარმომადგენელმა ეგვიპტის ხელისუფლებს მოუწოდა, სასწრაფოდ უზრუნველყონ ის, რომ პოლიციამ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ძალის გადაჭარბებული გამოყენება არ დაუშვან.

პილეის თქმით, საჭიროა ძალადობაში უშიშროების ძალების მონაწილეობის სრულყოფილი გამოძიება.

გაეროს კომისრის თქმით, ქუჩებში მილიონობით ადამიანის გამოსვლის შემდეგ არმია და პოლიცია უკიდურესი ყურადღებითა და თავშეკავებით უნდა მოიქცნენ.

თავის გამოსვლაში პინეიმ მოიშველია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ხალხის ნება მთავრობის ძალაუფლების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს.

გასულ კვირას დღის განმავლობაში დედაქალაქის ქუჩებში პოლიციელები არ ჩანდნენ და ქუჩებში სამხედროები პატრულირებდნენ.

ღამღამობით კაიროს მრავალი მცხოვრები რაზმებში ერთიანდება და თავის საკუთრებას იცავს. მთელ ქვეყანაში ციხეებიდან 3 ათასამდე პატიმარი გაიქცა.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ შეძლებს არმია ვითარების რეგულირებას.

კვირას კაიროს მთავარ მოედანზე ტანკებმა სცადეს შესვლა, მაგრამ მათ დემონსტრანტებმა გადაუღობეს გზა. სამხედროებსა და დემონსტრანტებს შორის შეტაკება არ მომხდარა, არმია ეგვიპტეში პოლიციაზე მეტი პატივისცემით სარგებლობს.

ალექსანდრიაში საპროტესტო აქციის დროს დაღუპული ორი დემონსტრანტის მასობრივი დაკრძალვა გაიმართა. ქალაქის ქუჩებში მრავლად არიან სამხედროები. ვითარება დაძაბული რჩება.

კვირას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის ეგვიპტეში სამუშაო კვირა დაიწყო. მიუხედავად ამისა, მრავალი დაწესებულება დახურული რჩებოდა. პერიოდულად წყდება მობილური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის მუშაობა.

ქვეყნის მრავალი პოლიტიკოსი მუბარაქის დაუყოვნებლივ გადადგომისა და ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნისაკენ მოუწოდებს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ეგვიპტეს „ძალაუფლების ორგანიზებული გადაცემისაკენ" მოუწოდა. მან აღნიშნა, რომ ვაშინგტონი ეგვიპტის დემოკრატიული მთავრობის შექმნას უჭერს მხარს.

ჰილარი კლინტონის თქმით, აშშ არ ისურვებდა, რომ უშიშროების ძალებმა ძალადობას მიმართონ.

ეგვიპტეში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა ტელეფონით დაუკავშირდა რამდენიმე ქვეყნის ლიდერს, მათ შორის საუდის არაბეთის მეფეს აბდულას, თურქეთის პრემიერ-მინისტრს რეჯეპ ერდოღანს, ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჯეიმს კემერონს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ მისი მთავრობა ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ადევნებს თვალს და კრიზისის მშვიდობიანი გადაწყვეტის იმედი აქვს.

პალესტინელი ჩინოსნების თქმით, სასაზღვრო გადასასვლელი რაფაჰში, ეგვიპტესა და ღაზას სექტორს შორის დახურული რჩება.

ეგვიპტეში მასობრივი გამოსვლები ტუნისში, ასევე მასობრივი გამოსვლების შედეგად ტუნისის პრეზიდენტის ზინ აბიდინგ ბენ ალის დამხობის შემდეგ დაიწყო. ტუნისის პრეზიდენტი ხელისუფლების სათავეში 23 წლის განმავლობაში იმყოფებოდა.

კვირას მასობრივი გამოსვლები სუდანის დედაქალაქშიც გაიმართა, მაგრამ დემონსტრანტები უშიშროების ძალებმა გაფანტეს.

# ბელორუსიის ოპოზიცია ლუკაშენკოსათვის სანქციების გამკაცრებას ითხოვს

ბელორუსიის პრეზიდენტობის ორი ყოფილი კანდიდატის ახლობლებმა ევროკავშირს ბელორუსიის ლიდერის, ალექსანდრ ლუკაშენკოს წინააღმდეგ რაც შეიძლება მკაცრი სანქციების შემოღებისაკენ მოუწოდეს.

ამას წინათ დაკავებული და შემდეგ ქალაქიდან გაუსვლელობის პირობით გათავისუფლებული ვლადიმირ ნეკლიაევის დამ, ევა ნეკლიაევამ, აგრეთვე ანდრეი სანიკოვის დამ ირინა ბოგდანოვამ გაეროს საგარეოო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელობას წერილობით მიმართეს.

ორშაბათისათვის ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ბრიუსელში უნდა შეკრებილიყვნენ და ეს მიმართვა მათთვისაც იყო გათვალისწინებული.

მიმდინარე წლის 20 იანვარს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც გამოსვლების ჩახშობასთან კავშირის მქონე ბელორუს ჩინოსნებს, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებსა და მოსამართლეებს ევროპის ქვეყნებში შესვლა აუკრძალა.

2010 წლის 19 დეკემბერს პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, რომლებიც დასავლეთის დამკვირვებლებმა შეაფასეს როგორც არადემოკრატიული, მინსკში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო.

ბელორუსიის ხელისუფლებმა ეს გამოსვლები სასტიკად ჩაახშეს, ამასთან, დააკავეს ათობით ადამიანი, მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენელი პრეზიდენტობის მრავალი კანდიდატი და ჟურნალისტები.

მათგანი ზოგიერთი დღემდე დაკავებულია. ბელორუსიის სუკ-ის საგამოძიებო იზოლატორში რჩებიან ორი ქალი, ჟურნალისტი ირინა ხალიპი და „მალადოი ფრონტის" ლიდერი ნასტასია პოლაჟენკო, აგრეთვე ოცდაათამდე მამაკაცი, ოპოზიციის წარმომადგენლები, მათ შორის ბელორუსიის პრეზიდენტობის ოთხი ყოფილი კანდიდატი.

კვირას, საღამოს მინსკში სუკის შენობის ცენტრალურ შესასვლელთან გაიმართა არასანქცირებული მიტინგი. პიკეტის დროს დააკავეს 10-მდე ადამიანი. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დემონსტრანტებს დაკავებული ოპოზიციონერების პორტრეტები ხელიდან გამოგლიჯეს.

შაბათს ბელორუსიის ხელისუფლებმა აღმკვეთი ღონისძიება შეუცვალეს ერთ-ერთ დაპატიმრებულს, პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატს ვლარიმირ ნეკლიაევს. იგი ამჟამად შინაპატიმრობაში იმყოფება.

მისი მომხრეები კვირას მის სახლთან თავმოყრას გეგმავდნენ, სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, მაგრამ დათქმულ დროს ეზოში მხოლოდ ჟურნალისტებმა მოიყარეს თავი, მათთან კი ნეკლიაევის მეუღლე ოლგა გამოვიდა.

ოლგა ნეკლიაევის თქმით, მის ქმარს ფანჯრებთან მისვლა აკრძალული აქვს, რადგან ეს შინაპატიმრობის პირობების მიხედვით მას ეკრძალება მესამე პირებთან ურთიერთობა, ფანჯარასთან მისვლა კი სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს.

გარდა ამისა, ნეკლიაევს ეკრძალება ინტერნეტით, ტელეფონით სარგებლობა, მეუღლისა და ადვოკატის გარდა ვინმესთან ურთიერთობა.

ოლგა ნეკლიაევის თქმით, ბინაში მუდმივად იმყოფებიან სუკის თანამშრომლები, რომლებიც აკონტროლებენ, თუ რას აკეთებს პატიმარი.

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# „მეფე ლაპარაკობს" რეჟისორთა გილდიის პრემიით დააჯილდოვეს

ეძღვნება. კომედიურ ჟანრში გიამარჯვა მაიკლ სპილერმა სერიალით „ამერიკული ოჯახი".

2010 წლის საუკეთესო დოკუმენტალისტის ტიტული რეჟისორთა გილდიამ ჩარლს ფერგიუსონს მიაკუთვნა ფილმისათვის „საშინაო საქმე". ეს ფილმი 2008 წელს აშშ-ის ფინანსურ ირიზისს ეძღვნება. ცნობილი რეჟისორისა და პოლიტოლოგის ფილმი ოსკარის ნომინანტთა შორისაც მოხვდა.

რეჟისორთა გილდიამ ტომ ჰუპერის ფილმი მსახიობთა საუკეთესო შემადგენლობითაც გამოარჩია. ამ ნომინაციაში ოსკარის ყველა ნომინანტი იყო წარმოდგენილი.

მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად რეჟისორთა გილდიამ კოლინ ფერტი მიიჩნია, ფილმში „მეფე ლაპარაკობს".

ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი, რეჟისორთა გილდიის აზრით, ნატალი პორტმანი გახლავთ. მან მთავარი როლი ითამაშა ფილმში „შავი გედი".

სცენაზე ასულმა ნატალი პორტმანმა გილდიის წევრებს აღიარებისათვის მადლობა გადაუხადა. ასევე მადლობა გადაუხადა რეჟისორ არონოფსკის და მშობლებს, რომლებმაც ასწავლეს, რომ ბევრი უნდა იშრომოს და უკანალივით არ უნდა მოიქცეს.

მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისათვის რეჟისორთა გილდიამ მსაიხობი ქრისტიან ბეილი („მებრძოლი") და მელისა ლეო („მებრძოლი") გამოარჩია.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 2 თებერვალი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** ისტორია **23.00** მხ. ფილმი **"მაიკლი"** (12) (ჯ. ტრავოლტა) (სუბტ.) **01.00** მოამბე **01.20** ისტორია

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00, 19.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფ. **"ახალი ტიპი"** **01.00** მხ. ფილმი **"შმიდტის შესახებ"** (15)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** "გუნცაძეები" **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"სად არის ელისა"** **22.00** კონცერტი **00.00** მხ. ფ. **"გზააბნეული როზა"** (18) (ლ. დერნი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** მეექვსე გრძნობა **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **00.00** სამსონაძეები **00.30** მხ. ფ. **"კერკეტი კაკალი"** (12) (ბ. უილისი) (სუბტ.) **03.05** მხ. ფ. **"ვნების კვირა"** (15) (მ. სორვინო) (სუბტ.) **04.50** მხ. ფილმი **"წყალქვეშა საავყრობილე"** (12) (ს. სიგალი) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"სტალინის ცოლი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"კურტიზანები"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ამანდა ო"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** სასულიერო-სამეცნიერო საუბრები **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.20** მხ. ფილმი **"დილის ნისლივით"** **13.25** კონცერტი **14.35** დოკ. ფილმი "წმინდა ანტონის სავანე" **15.00, 18.00, 21.00, 00.00** საგალობელი **15.05** მხ. ფ. **"ფარანი ქარში"** **16.30** კვირიაკე **17.40** ერთი წვეთი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"მოცურავე"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.25** ქართული ალბომი **22.40** მოკლ. ფილმი **"არღანი"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15, 00.35** სუფთა დაფა **01.00** გადაცემა "კარაბადინი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 2 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,7741 |
| ევრო | 2,323 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7456 |
| რუსული რუბლი | 0,0585 |

**ამინდის პროგნოზი 2 თებერვლისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 3-19, ღამით — -4-1.
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 5-7, ღამით — -3-1
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -7-2, ღამით — -21 -5







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უვნებელი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.**


## პატრიარქი დიდ ბრიტანეთში 5 თებერვალს გაემგზავრება



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დიდ ბრიტანეთში 5 თებერვალს გაემგზავრება.

როგორც „ინტერპრესნიუსს" საპატრიარქოდან აცნობეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში თანმხლებ პირებთან ერთად გაემგზავრება.

ვიზიტის ფარგლებში ილია II დიდი ბრიტანეთის ქართულ სათვისტომოს ეწვევა და ლონდონში ქართულ ტაძარს აკურთხებს. უწმინდესის ვიზიტი დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში 15 თებერვალს დასრულდება.

**ინტერპრესნიუსი**

## „სამტრედიას" ფულს მოსახლეობა უგროვებს




საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში ბევრი გაჭირვებული გუნდი გამოჩნდა. ფოთის „კოლხეთის", ზუგდიდის „ბაიასა" და „სამტრედიას" ფინანსური მდგომარეობები იმდენად სავალალო იყო, რომ შესაძლოა, ეს გუნდები პირველობას გამოთიშვოდნენ. მეორე წრისთვის ოდნავ გაუმჯობესდა მდგომარეობა ფოთსა და ზუგდიდში, სამტრედიაში კი გუნდი გულშემატკივართა იმედზე დადგა.

„სამტრედიას" ფინანსები გამოუყვეს — 44.000 ლარი, რაც 4 თვის მანძილზე გუნდს ნამდვილად ვერ შეინახავს, თუმცა იქაური გულშემატკივრები იმდენად არიან მზად, რომ მათმა საყვარელმა გუნდმა უმაღლეს ლიგაში ითამაშოს, რომ მზად არიან ფეხბურთელებს დახმარების ხელი გაუწოდონ.

„სამტრედიას" გულშემატკივართა კლუბი აქციის გამართვას გეგმავს და შემოსული თანხით კლუბის დახმარებას აპირებს. რესტორნებისა თუ მაღაზიების მფლობელები, გარე მოვაჭრე თუ უბრალო მოსახლეობა გარკვეულ თანხას დებს „სამტრედიის" გადასარჩენად. რამდენიმე რესტორანმა ფეხბურთელების კვება გაინაწილა, ზოგი 10 ლარს დებს, ზოგიც — 20.

როგორც შევიტყვეთ, 15.000-მდე თანხა უკვე შეგროვდა. სამტრედიის გულშემატკივართა კლუბი გუშინაც აპირებდა საქველმოქმედო აქციის გამართვას და მისი დიდი იმედი ჰქონდა.

კლუბს გარკვეული დახმარება გაუწია კახა კალაძემაც, რომელმაც 30.000 ევროს ღირებულების ფორმები და ინვენტარი უსაჩუქრა, გარკვეული თანხა საახალწლოდ ფეხბურთელებსაც გადასცა.

მოკლედ, სამტრედიაში ხალხი კლუბის გადასარჩენად იბრძვის, ასეთ ფაქტს მხოლოდ საქართველოში თუ წავაწყდებით.

**მ. ჟ.**

## „მეფე ლაპარაკობს" რეჟისორთა გილდიის პრემიით დააჯილდოვეს

**ბრიტანულმა მხატვრულმა ფილმმა „მეფე ლაპარაკობს", აშშ-ის კინორეჟისორების გილდიის მთავარი პრიზი მოიპოვა.**



ეს ფილმი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაძლია ბრიტანეთის მეფე გეორგ VI-მ საჯარო გამოსვლების შიში.

გასულ კვირას რეჟისორ ტომ ჰუპერის ეს ფილმი ყველაზე პრესტიჟულ კინემატოგრაფიულ პრემიაზე, „ოსკარზე" წარადგინეს, თანაც 12 ნომინაციაში.

ექსპერტების ვარაუდით, რეჟისორთა გილდიის პრემიის მოპოვების შემდეგ ჰუპერი საუკეთესო რეჟისურის ოსკარის მთავარი პრეტენდენტი გახდა. 1948 წლის შემდეგ რეჟისორთა გილდიის პრემიის მფლობელმა ოსკარის მოპოვება მხოლოდ ექვსჯერ ვერ შეძლო.

პრემიის მიღების დროს ჯუპერმა განაცხადა, რომ ფილმის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის დედამისს, რადგან სწორედ მან მიაპყრო მისი ყურადღება ენაბლუ მეფის ისტორიას.

„გეორგ VI-ის შესახებ პიესის მოსმენის შემდეგ შინ დაბრუნებულმა დამირეკა და მითხრა, მგონი, შენთვის მორიგი ფილმი ვიპოვე, — განაცხადა რეჟისორმა, — ამ ისტორიის მორალი ასეთია, გაიგონეთ, რასაც დედა გეუბნებათ".

ჰუპერმა გარდა ამისა, ფილმის სცენარის ავტორის, დევიდ საიდერის შესახებაც ისაუბრა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს თავად შეძლო ენაბლუობის დაძლევა.

„ომის დროს მან მეფე გეორგ VI-ის გამოსვლა მოისმინა რადიოთი და გაიფიქრა, „რაკი მეფემ შეძლო ენაბლუობის დაძლევა, მეც შევძლებ" — თქვა რეჟისორმა.

ფილმს „მეფე ლაპარაკობს" რეჟისორთა გილდიის პრემიისათვის მეტოქეობას უწევდნენ რეჟისორ დარენ არონოფსკის „შავი გედი", „დევიდ ფინჩერის „სოციალური ქსელი", ქრისტოფერ ნოლანის „დასაწყისი" და დევიდ რასელის „მებრძოლი".

დრამატული სერიალის ჟანრში საუკეთესო რეჟისორად გილდიამ მარტინ სკორსეზე დაასახელა „იატაკქვეშა იმპერიისათვის", რომელიც ნიუ ჯერსის შტატში მშრალი კანონის პერიოდის კორუფციას და მაფიას საქმიანობას

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

## ასტროპროგნოზი 2 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ! მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას.**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — ეს დღე მეგობრებთან ერთად გაატარეთ, მათგან საჭირო ინფორმაციას მიიღებთ. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ბედი გწყალობთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — გზიდან ფულს მიიღებთ, პრობლემები არ გაქვთ. **სასწორი** — საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **ღრიანკალი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ. **მშვილდოსანი** — პოზიტური დღეა, იაქტიურეთ. **თხის რქა** — არ აჰყვეთ პროვოკაციას, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მერწყული** — წარმატებული დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **თევზები** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, იმიჯი შეიცვალეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დუქნის მეპატრონე, დახლიდარი; 2. მიმდინარე ცხოვრების ამსახველი ცნობების, ამბების ქრონოლოგიური აღნუსხვა; 3. ნავსადგური უკრაინაში; 4. აეროპორტი ბუქარესტში; 5. მე-11 საუკუნის მონასტერი ჯავახეთში; 10. ფრანგ პარტიზანთა სახელწოდება მეორე მსოფლიო ომის დროს; 11. წარმოების, ორგანიზაციის მართვა; 12. შაქრის შემცვლელი; 15. სამძებრო პოლიციის თანამშრომელი; 16. საპატიო რაინდის ტიტულის მფლობელი ბრიტანელი პოპ-ვარსკვლავი მამაკაცი; 17. რომელიმე ნაწყვეტის ამოღება მხატვრულ ან მუსიკალურ ნაწარმოებში; 20. გერმანული მსუბუქი ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. მონასტერი, ხუროთმოძღვრული ძეგლი რაჭაში; 7. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 8. ჯარის რჩეული ნაწილი; 9. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 13. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 14. შაქრის წარმოების ნარჩენი, სქელი შავი სითხე; 18. ზღვის დიდი ფრინველი; 19. მტრედის ბარტყი; 21. დამარილებული ღორის ქონი; 22. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 23. ჟესტიკულაციით გადმოცემული უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა; 24. პირველი ქართული მხატვრული ფილმი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## იუმორი



— პლაგიატის ახალ კლასიფიკაციას გთავაზობთ.

— თუკი ახალი შესრულება ორიგინალზე უკეთესია, რემიქსი ვუწოდოთ, თუ უარესი — კარაოკე.

***

საქორწილო სუფრასთან ყურმოკრული საუბარი:

— მოგწონვარ?

— ძალიან ლამაზი ხარ.

— მე უფრო ლამაზი ვარ თუ პატარძალი?

— არც ერთზე არ ვიტყოდი უარს...

***

— მთელი ცხოვრება იმაზე ვფიქრობდი, მეზობლებს ზემოდან წყალი არ ჩამოეშვათ, მანამდე, სანამ ქვემოთა მეზობლებთან ხანძარი არ გაჩნდა...

***

— ამქვეყნად სექს-ბომბები თუ არსებობს, სექს-თავშესაფარიც უნდა არსებობდეს...

***

ყაზარმაში:

— რიგითო, რატომ არ გძინავს?

— ქალები არ მაძინებენ.

— რა ქალები, აქ სად ხედავ ქალებს?

— მეც მაგიტომ ვერ ვიძინებ...

***

— რა ძუნწი ყოფილა თოვლის პაპა.

— საიდან მოიტანე?

— იმის ნაცვლად, რომ საჩუქარი მოეტანა ჩემთვის, კარადაში დედაჩემის მიერ დამალული თოჯინა იპოვა და ნაძვის ხის ქვეშ დადო...

**გ.თ.**

## რამდენად თავდაჯერებული ხართ

**ტესტი**



1. ოცნებობთ, თავიდან დაიბადოთ და ცხოვრება თავიდან დაიწყოთ?

2. როდესაც საქმე არ გამოგდით, შეგიძლიათ თუ არა თქვათ: „ასეთი რამ მხოლოდ მე შეიძლება დამემართოს"?

3. გიხარიათ, როდესაც შეიტყობთ, რომ ვიღაცას თქვენი შურს?

4. გიყვართ თუ არა საჯაროდ გინება?

5. ხშირად თუ გიჩნდებათ ლატარიაში მსხვილი თანხის მოგების სურვილი?

6. თუ განუგეშებთ ის, რომ თქვენი უსიამოვნების მსგავსი უსიამოვნება სხვასაც დამართნია?

7. თუ გწყინთ, როდესაც თქვენ მოგიხსენიებენ, როგორც მომაბეზრებელ ადამიანს?

8. განიცდით თუ არა, როდესაც რომელიმე საქმე თქვენი მონაწილეობის გარეშე უკეთ მიდის?

9. გაქვთ თუ არა ჰობი?

**პასუხები**

*დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:*

**0-3 ქულა:** მეტად გაუბედავი ხართ, რთული და არცთუ ისე რთული პრობლემების არსში წვდომის ნაცვლად განგაშს ტეხთ და სხვას მიმართავთ დასახმარებლად.

**4-6 ქულა:** საკმაოდ დარწმუნებული ხართ საკუთარ თავსა და ძალებში, ამასთან, მოკლებული ხართ ზედმეტ თავმოყვარეობასა და საკუთარი თავით ტკბობას.

**7-9 ქულა:** ძალიან თავდაჯერებული ხართ, მიგაჩნიათ, რომ შეცდომას არასდროს უშვებთ. ეს ხშირად ხდება ადამიანებთან ურთიერთობისას პრობლემების მიზეზი.

**გ.თ.**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი